გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი



www.ilori.ge

№103 (164) 18-25 იანვარი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# ჯარიმების ქვეყანა...

ცნობილ სიმღერაში მართლაც რომანტიულაა ახსნილი – "ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე"-ო. მაგრამ, ჩვენმა საამაყო "ნაციონალებმა" და მათმა ნეტარმა "ბელადმა" ყვავილების ქვეყანა ჯარიმების ქვეყანად გვიქციეს, ხოლო, რაც შეეხება "ჩოქვით შემოვიარეს", დაჩოქებით კი დაგვაჩოქეს, თანაც ისე, რომ "შემოვლის" საშუალება ფინანსურად მოგვისპეს, და ვართ ასე, ერთ ადგილას დაჩოქებულები, ნაციონალებისაგან ახალი "სიურპრიზების" მოლოდინში.

ასე რომ, ცნობილი ქართული ლირიული სიმღერის ლიბრეტომ დღეს სრულიად ახალი ტექსტობრივი ჟღერადობა შეიძინა:

"ჯარიმების ქვეყანას,
არც პური აქვს, არც ყანა..."

ვართ ჩვენ სამშობლოში, ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს მიწა-წყალზე, მაგრამ ხიზნად, უპატრონოდ და უთვისტომოდ, დაუცველად ვგრძნობთ თავს, რადგან ამ ქვეყნის ხელისუფლებას მხოლოდ განდიდებისა და გამდიდრების მანია ასულდგმულებს და საქართველოს მოქალაქეთა ყოფა-ცხოვრება გროშადაც არ უღირს.

რაიმე სენით დაავადებული ახალგაზრდებიცა და ხანდაზმულებიც ერთის მხრივ აუტანელ ტკივილებს, სიკვდილის გარდაუვალ მოლოდინსა და ხვალინდელი გაურკვევლობისადმი შიშს ვებრძვით, მეორე მხრივ – ნიჰილიზმისაგან, გულგრილობისა და უსამართლობისაგან მოყენებულ გაუსაძლის ტკივილს.

ჯერ ედუარდ შევარდნაძის, შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილის "ძალისხმევის" შედეგად მივიღეთ უსახური, უგულო, უზნეო, უთავმოყვარეო საქართველო, რომლის ხელისუფლება, მხოლოდ არჩევნების დროს, სულ რამდენიმე დღით მიიხედავს ხოლმე სოციალური და ყოფითი პრობლემებით გატანჯული და სიკვდილს მონატრებული ხალხისაკენ!

მაშინ, როცა ადამიანებს ელემენტარული მკურნალობის თანხა არ გააჩნიათ და მათ, ხშირად, უცხოელი ექიმები საკუთარი ჯიბიდან უხდიან ფულს, მართლაც ცინიზმია, უამბო, რომ, თურმე, "ევროვიზიაზე" სოფო ნიჟარაძის კონცერტის გასამართად მილიონი გადაუხდიათ, ხოლო 80 მილიონი გადაიხადეს მტკვარზე მახინჯი ხიდის აგებაში, რომელსაც ხალხმა სავსებით სამართლიანად "ოლვეის ულტრა" დაარქვა.

კულტურისა და მშენებლობის განვითარებას წინ არავინ აღუდგება, მაგრამ, როცა ქვეყანა გასაჭირს ჰყავს გათანგული, როცა ხალხი შიმშილითა და ავადმყოფობით იხოცება, ან თავს იკლავს, ხელისუფლებამ, თუ იგი მართლაც საკუთარი ხალხის დაუძინებელი მტერი არ არის, ასეთი უაზრო ფუფუნების უფლება არ უნდა მისცეს საკუთარ თავს.

მართლაც ამაზრზენი ფაქტის მომსწრენი გავხდით ამას წინათ: ერთ ჩვენ მეგობარს სიდედრი მძიმედ ავად გაუხდა – მიოკარდის ინფარქტმა სიკვდილის პირას მიიყვანა დიდი სამამულო იმის მონაწილე, ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანი, 82 წლის ქალბატონი, რომლის მეუღლეც დიდი სამამულო ომის მონაწილე გახლდათ, იყო ომის დიდების მეორე და მესამე ხარისხის ორდენის კავალერი და მხოლოდ ერთი ორდენი დააკლდა, რომ ავტომატურად გამხდარიყო საბჭოთა კავშირის გმირი.

მაგრამ, ჩვენმა ხელისუფლებამ თავისი უზნეო საქციელით კარგად დაამტკიცა, თუ რა პატივს მიაგებს ომის გმირთა ხსოვნას, თუნდაც ქუთაისის დიდების მემორიალის ვანდალურად აფეთქებით. მაგრამ გასაკვირი ამაში არაფერია – სამარცხვინოა მათთვის დიდ სამამულო ომთან დაკავშირებული ნებისმიერი მოგონება, რადგან მათი დეზერტირი წინაპრები ლაჩრულად იმალებოდნენ ტახტის ქვეშ, ან საპონს ჭამდნენ, რათა დიზენტერიით დაავადებულიყვნენ და ფრონტებზე არ ეომათ, მაშინ, როცა ჩვენი წინაპრები სისხლს ანთხევდნენ სამშობლოსათვის! ბუნებრივია, მათთვის შოკისმომგვრელია თვით ფრაზა "დიდი სამამულო ომი"!

განა ომისაგან თავის ასარიდებლად არ გადაიკეთა ედუარდ შევარდნაძემ დაბადების თარიღი, რათა ორი წელი "ჩამოეგდო" დაბადების მოწმობიდან?! ისიც საინტერესოა, რას აკეთებდნენ სააკაშვილის წინაპრები მძვინვარე ომის პერიოდში!

მაგრამ, მოდით კვლავ ჩვენს მიერ ნახსენები ქალბატონის ომისშემდგომ ბატალიებს დავუბრუნდეთ, რომელსაც სხვა პენსიონერებთან შედარებით „ბევრად" მეტი, მაგრამ მხოლოდ 120 ლარი აქვს პენსია.

ცხოვრობს ხაშურში, ყიფიანის ქუჩაზე, საცხოვრებლად თითქმის უვარგის კერძო ბინაში. 2010 წლის დეკემბრის მიწურულს ამ ქალბატონმა თავი შეუძლოდ იგრძნო და თბილისში ქალიშვილსა და სიძეს ჩამოაკითხა. 27 დეკემბერს გულის შეტევამ შეაწუხა, ოჯახმა სასწრაფო დამხარების მანქანას გამოუძახა და ექიმმა, იმ მოტივით, რომ მას გადაუდებელი ოპერაცია უნდა გაუკეთდესო, ტკივილებისაგან გაწამებული ქალბატონი, ლუბლიანი ქუჩაზე მდებარე ე.წ. "ჩაფიძის კლინიკაში" გადაიყვანა. არ იცოდნენ მისი ოჯახის წევრებმა, თუ შემდეგ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, თორემ იგივე პრეპარატებს, რასაც პაციენტს საავადმყოფოში აძლევდნენ, თავადაც კარგად მიაღებინებდნენ.

საავადმყოფოში ავადმყოფსა და მის ჭირისუფლებს განუცხადეს, რომ პაციენტი საკმაოდ ასაკოვანია, ოპერაციას ვერ გადაიტანს და სჯობს პრეპარატებით ვუმკურნალოთ გაძლიერებულადო. ექიმების ამგვარი "გულისხმიერებით" გულაჩუყებული ჭირისუფლები ცხვირსახოცს ცხვირსახოცზე ასველებდნენ ცრემლით და არც კი ეჭვობდნენ, თუ ამ "გულისხმიერი" შემოთავაზების მიღმა როგორი ვერაგობა იმალებოდა.

როგორც იცით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ხალხისათვის სამადლოდ გადმოგდებული უფასო მკურნალობის პროექტები მხოლოდ არჩევნების პერიოდში გააქტიურდება ხოლმე, შემდეგ კი წინა ზამთრის თოვლივით დნება (გახსოვთ, არჩევნების წინ როგორ იღვრებოდა ცრემლებად პენსიონერთან სტუმრად მისული სააკაშვილი? მართლაც რომ გულისამრევი სანახაობა გახლდათ...). ამიტომ, ეს ღვაწლმოსილი ქალბატონიც თავისი თავის ანაბარად შერჩა მძიმე დაავადებასაც და ე.წ. ჩაფიძის კლინიკასაც, სადაც მოხუცი ადამიანი ამ მძიმე დაავადების დიაგნოზით მოათავსეს. მოხუცებულ პენსიონერ ქალბატონს კი თავისი პენსიის გარდა სხვა შემოსავალი არაფერი გააჩნია და არც მისი ქალიშვილის ოჯახი გამოირჩევა დიდი ფინანსური შესაძლებლობებით.

თავს ზარივით დაატყდათ მას და მისი ოჯახის წევრებს, როცა საავადმყოფომ მოსთხოვა, რომ გაწეული მკურნალობისა და მედიკამენტებისათვის 2.000 ლარი უნდა გადაიხადოო. თანაც, ზედმეტი "დამაჯერებლობისათვის" დაამატეს: "ვიდრე თანხას არ გადაიხდით, ავადმყოფი აქ დარჩება, თუ თანხის გადაუხდელად გააპარებთ, ხაშურში რომ სახლი აქვს, იმას დავუყადაღებთ, შემდეგ კი ღია აუქციონზე გავუყიდითო"!

ყურადღება მიაქციეთ "ღია აუქციონზე გავუყიდითო", რადგან იციან, რომ ხაშურში მდებარე სახლსა და ეზო-კარში ბევრს ვერაფერს აიღებენ, თორემ, რაც სარფიანი ობიექტები იყო საქართველოში, "ნაციონალურმა" ხელისუფლებამ, ყველა, დახურულ აუქციონზე გაყიდა, რათა იქ დატრიალებულ საზიზღრობებს საზოგადოებაში არ გაეჟონა!

ვერაფერს იტყვი: მართლაც რომ "საიმედო სარეაბილიტაციო" განცხადებაა, გადატანილი ინფარქტის შემდეგ, განსაკუთრებით ხანდაზმული ადამიანისათვის, რომლის სიცოცხლე, მრავალ გარემოებათა გამო, ისედაც ბეწვზე ჰკიდია!

მოხუცი, უმწეო ქალბატონის ახლობლებმა ახლა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიაკითხეს. იქ კი განუცხადეს: "აი, გადაუდებელი ოპერაცია რომ გაეკეთებინათ მისთვის, ჩვენ დავაფინანსებდით, ინფარქტის მკურნალობის ანაზღაურებას კი არავითარი ოფიციალური ცირკულარი არ გვავალდებულებსო"!

რკინის ლოგიკას რომ იტყვიან, სწორედ ისეთი პასუხია! საქართველოში საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ჯარიმისა და ყადაღის სუნი ტრიალებს!!!

მხოლოდ ახლა მიხვდნენ ავადმყოფის ჭირისუფლები, თუ როგორი ვერაგული მახე დაუგეს მათ ჩაფიძის სახელობის კლინიკის მესვეურებმა.

ამასთან დაკავშირებით, ერთი კახური ანეკდოტი მახსენდება: მიხო ტელევიზორს უყურებდა, სადაც მოდების ჩვენება მიმდინარეობდა. როცა ეკრანზე ცნობილი მოდელი და კინომსახიობი კლაუდია შიფერი გამოჩნდა, მიხო ცოლს მოუბრუნდა და უთხრა: "აფსუსი არ არის, ამას შიფერი ერქვას, შენ კიდევ – მაჟვალაო"!

ჰოდა, ძვირფასო მკითხველო, მართლა აფსუსი არ არის, რომ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე მდგარი უწყება ერქვას, იმ უბედურ ადამიანს კი, მუხიანში, ახლა წელს, იარაღი რომ გაისროლა და მეზობლის 12 წლის ბიჭი ბრმა ტყვიით იმსხვერპლა – მკვლელი!

მართლა დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!

მაგრამ, ღმერთს რას ვემართლებით, როცა ამდენ თავს დამტყდარ უბედურებას შეგუებულები კიდევ იმის იმედით ვსულდგმულობთ, რომ "ნაციონალები" და მათი ბედნიერღიმილიანი ბელადი ბედნიერ მომავლამდე მიგვიყვანენო.

სადამდეც მიგვიყვანეს, ბრმა და ყრუ უნდა იყო, ან ვერ დაინახო და ან ვერ შეისმინო!

უარესიც დაგვემართება, თუ დროზე არ გამოვიფხიკოთ ყურს და თვალს არ გავახელთ!

ამიტომ, ამ წერილს საამაყო ქართველი მეცნიერის, უღალატო და პრინციპული პიროვნების, ბატონ თემურ ქორიძის სიტყვებით დავამთავრებ: "მოვა დრო, ხალხი ამ მასხარა პოლიტიკოსებს კი არა, ნამდვილ ქართველს, პატრიოტს, თავისი ქვეყნის სიყვარულით გამსჭვალულ ადამიანს გაჰყვება, რომელიც, იმედი მაქვს, პოლიტიკურ ასპარეზზე მალე გამოჩნდება"!

ერთია, რომ "გამოჩნდება", მეორე კი ის, რომ ყველაფერი გავაკეთოთ ამ ადამიანის საქართველოს ხელისუფლებაში მოსაყვანად!

"ილორი"




ჩელა 9

ვცრუობ, 7 მაშასადამე, ვარსებობ...

თემურ ქორიძე

ვეტერანთა ცივი და შიმშილიანი შემოდგომა 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰყვლაც ერთად, ჰყვლაც ერთმანეთის იმედით...

*გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ ერთობლივად გამოცემულ, პროფესიით ექიმის პაატა ქურდოვანიძის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებულ ილუსტრირებული "ქართულ-აფხაზური ალბომი"-დან, რომელშიც XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობაა აღწერილი. წერილს თან ერთვის უნიკალური ფოტომასალა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი ორივე ხალხისათვის დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო.*



ტარასი ანჩაბაძე (ცენტრში) ახლობლებთან ერთად

### ტარასი ანჩაბაძისა და მარიამ დადიანის ოჯახი

ტარასი (თარაშ) ზურაბის ძე ანჩაბაძისა (1859-1935) და მარიამ (მაშო) ნიკოს ასული დადიანის (1870-1958) დიდი ოჯახი ქართულ-აფხაზური ტრადიციული ძმობის, მეგობრობისა და ნათესაობის მაგალითად გამოდგება. ეს ის ბედნიერი პერიოდი გახლდათ, როცა არც ქართველები და არც აფხაზები ერთმანეთს ეთნიკური ნიშნით არ განასხვავებდნენ და ერთობლივი ძალებით უმკლავდებოდნენ გარე თუ შიდა მტერს.



ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძე

ტარასი ანჩაბაძე, მეფის რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკი, რომელმაც უნტერ-ოფიცრობით დაიწყო სამხედრო კარიერა, გულადი და სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი, რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-იაპონიის ომების აქტიური მონაწილე, გამორჩეული ქველმოქმედი, ბუნების დიდი ტრფიალი და ხელთუცთომელი მონადირე იყო (მისი სახიფათო და საინტერესო მოგზაურობები და სანადირო თავგადასავლები აღწერილი აქვს დაწვრილებით ცნობილ რუს მწერალს გიორგი მარკოვს თავის შესანიშნავ ნაწარმოებში – **"ერთი წელიწადი მთებში"**). ტარასი ანჩაბაძე პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი, გახლდათ, თვითონაც წერდა ლირიულ ლექსებს.

ქალბატონი მარიამ ანჩაბაძე (შალვა დადიანის ღვიძლი და) აფხაზეთის რესპუბლიკაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი და არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების მოთავე იყო.

ანჩაბაძეთა საოჯახო ტრადიციებს ერთგულად აგრძელებდნენ მათი შვილები. მათზე ჩვენი გაზეთის ადრე გამოქვეყნებულ წერილებშიც გვქონდა საუბარი, მაგრამ, აუცილებლად მიგვაჩნია, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მათი უფროსი ვაჟი ვიანორ ტარასის ძე ანჩაბაძე (1888-1937), რომელმაც თბილისის პირველი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში განაგრძო განათლების მიღება. პირველი მსოფლიო ომის გააფთრებული ბრძოლების უშუალო მონაწილეს არაერთი საბრძოლო ჯილდო ჰქონდა მიღებული. 1918-1921 წლებში იგი აფხაზეთის ეროვნული და სახალხო საბჭოების წევრი იყო და პოლიტიკური მრწამსით ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას თანაუგრძნობდა.

1930-იან წლებში ვიანორ ანჩაბაძე აფხაზეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი და საკურორტო მშენებლობის ერთ-ერთი მოთავე იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ მისი გმირული ბიოგრაფია სოციალისტური წყობისათვის საშიშ ფენომენად მიიჩნია და იგი 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა. ასევე განიცადა რეპრესიების ტრაგედია და საშინელებები მისმა მეუღლემაც – ქალბატონმა ვერა ანდრიას ასულმა შენგელაიამ (1893-1956), რომელმაც **"გულაგის"** ბანაკებში შვიდი წელი გაატარა და ჯანგატეხილი დაბრუნდა სამშობლოში.

ვიანორ ანჩაბაძისა და ვერა შენგელაიას ქორწილში, ქალაქ გაგრაში, 1918 წელს იმჟამად ბზიფში მდგომი ქართული ცხენოსანი დივიზიის ოფიცრებიც იყვნენ მიპატიჟებულნი. ვიანორ ანჩაბაძის მეჯვარე იყო მისი ყმაწვილობისდროინდელი მეგობარი ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

ვიანორისა და ვერას ხალხმრავალი ქორწილი ქართულ-აფხაზური ძმობისა და მეგობრობის ჭეშმარიტ ზეიმად იქცა.

ვიანორ ანჩაბაძის ვაჟი, აკადემიკოსი ზურაბ ანჩაბაძე, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რექტორი იყო.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**



ტარასი ზურაბის ძე ანჩაბაძე

# როგორ გასხვისდა აფხაზეთი



### გთავაზობთ ნაწყვეტებს ბატონ ნაპოლეონ მესხიას ამავე სახელწოდების წიგნიდან

28 სექტემბერს დავტოვეთ აფხაზეთი. პაატა დავითაია მე გამოვარიდე იქაურობას – ჩავაცვი ჩემი ხალათი და, როგორც სანიტარი, დაჭრილ მეომრებთან ერთად, გემბანზე ავიყვანე. მეორე დილით უკვე ფოთში ვიყავით.

ოთარის უფროსი შვილი მერაბი კი სხვებთან ერთად საკენ-ჭუბერის გზით გამოვიდა (რომელიც მოგვიანებით ჩვენი გაზეთის მიერ **"სიკვდილის უღელტეხილად"** იქნა მონათლული – **"ილორი")**.

მოგვიანებით გავიგე ოთარის და ჟორას დაღუპვის ამბავი: მეორე თუ მესამე დღეს აფხაზებმა მოაკითხეს და სახლიდან გაიყვანეს უმცროსი ძმა – ჟორა. ოთარი წინ აღუდგა: **"სად მიგყავთ!". "იქ, სადაც საჭიროა"** – იყო პასუხი. **"მაშინ მეც წამიყვანეთ"** – უთქვამს ოთარს. ორივე გაუყვანიათ და მერხეულის რესტორნის მახლობლად დაუხვრიტავთ.

ახლაც მწარედ ვნანობ, რომ ვერ შევძელი მათი სამშვიდობოზე გამოყვანა.

ფოთიდან მშობლიურ სოფელში – ოტობაიაში ჩავედით მე და ვალია. აფხაზებს და მათთან ერთად ჩეჩნებს და სომხებს აქაც შემოეღწიათ. სოფელი უკვე აღებული იყო – გადამთიელები ჯავშანტექნიკით დაგრიალებდნენ ოტობაიას გზაზე.

ამ დროს გალში გავრცელებული ყოფილა ხმები, ვითომ მე და ანტონ ბაგათელია საოპერაციოში დაგვხვრიტეს. ასე სცოდნია ყველას, გარდა ჩვენი ოჯახების წევრებისა. როდესაც 30 სექტემბერს ჩავედი ოტობაიაში, ჩემი მეზობლები სიხარულის ცრემლებით შემხვდნენ.

სოფელი თითქმის უკაცრიელი იყო. აფხაზები და მათ მიერ დაქირავებული ბოევიკები გვაკითხავდნენ ყოველ დღე. მე მათ თავს ვარიდებდი და გავდიოდი უკან, ჭალაში. სახლიდან წასვლა არ მინდოდა, თუმცა დარჩენაც სახიფათო იყო. დავიღალე ამდენი სირბილით და მეგონა, ჩემს სოფელში, ჩემს სახლში მაინც დამედგომებოდა.

ერთხელ ისე შემოსულან **"დაუპატიჟებელი სტუმრები"**, რომ არც კი შეგვიმჩნევია. უკან გასვლას ვერ ვასწრებდი. გამოსავალი არ მქონდა და იძულებული ვიყავი მივგებებოდი მათ. შვიდნი იყვნენ: ორი სამოქალაქო – აფხაზური იერ-სახე ჰქონდათ, ასე, 20-22 წლის, ხოლო დანარჩენები – სამხედრო ფორმაში, ჩრდილოკავკასიელებს ჩამოგავდნენ, მათ ერთი პატარა ბიჭიც ახლდათ, 12-13 წლის, ორ-ლულიანი თოფით. ამ ბიჭმა, როგორც კი შემოვიდნენ, იქვე, ეზოში ჯერ ძაღლი, ხოლო შემდეგ ბურვაკი **"მონადირა"**. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნი უწყრებოდნენ მას, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა.

**"სტუმრებს"**, დაახლოებით 27-29 წლის ჩრდილოეთკავკასიელი გამოეყო და მომიახლოვდა, ხელიც კი ჩამომართვა. ამასობაში სხვებიც მოვიდნენ. პირველი რაც იყო, საბუთები მომთხოვეს. ჩემმა მიამიტმა **"სანიტარმა"** ვალიამ, რომელიც სოხუმიდან გამოვიყვანე, ელვის სისწრაფით მოარბენინა ისინი, მათ შორის დეპუტატობის მანდატიც. ჩრდილოეთკავკასიელმა დაინახა თუ არა ეს, მიაყვირა: **"Это кого мы здесь нашли, какую птицу поймали"**.

– **"Кто ты?"** – მეკითხება ჩრდილოკავკასიელი.

– **"Я грузин"** – იყო ჩემი პასუხი.

ამ დროს ერთი აფხაზი მომვარდა და სილა გამაწნა, თან დამიყვირა: **"Скажи правду, ведь ты не грузин!"**

მესმოდა მეუღლის კივილი მეგრულად: **"უთხარი, კაცო, რომ მეგრელი ხარ"**.

ვხვდებოდი, თუ რის თქმას ითხოვდა ჩემგან ის ახალგაზრდა აფხაზი, მაგრამ ახლა უფრო ხმააწევით, ბრაზმორეულმა მივუგე:

**"Нет, я грузин!"**.

იმ ახალგაზრდა აფხაზმა კვლავ სილა გამაწნა – თითქოს ჯავრი იყარა, რომ ვერ გამტეხა და მაინც ვერ მათქმევინა: **"მეგრელი ვარ"**-ო.

**– "Какие претензии можете иметь ко мне, нахожусь у себя дома, это разве преступление?!"** – ჯიქურ მივუგე მათ.

ჩრდილოეთკავკასიელმა მიბრძანა: **"А ну, вперед"** და ავტომატის ლულა შუბივით მომაბჯინა ზურგში – სახლის უკან მდებარე თხილნარისაკენ მიბიძგა. დაახლოებით ოციოდე ნაბიჯი რომ გადავდგი, თავში გამიელვა: **"თუ მომკლავენ, ჯობია წინიდან მესროლონ, ზურგში არ მომხვდეს ტყვია. იფიქრებენ: რომ გავიქეცი და მესროლეს გაქცეულს."** ამიტომ შევჩერდი და სწრაფად შემოვტრიალდი, დავდექი მის პირისპირ. ამასობაში მორბის ისევ ის ახალგაზრდა აფხაზი, სილა რომ გამაწნა და ეუბნება იმ ადიღელს თუ ჩეჩენს: **"Слушай, подожди, не надо! "Он хороший депутат, он врач. Он спас моего брата"**. ჩრდილოკავკასიელმა მიუგო **"Если он хороший депутат, почему он здесь, а не с Ардзынба или не с Шанибовым"** და ისევ მიბრძანა **"Вперед!"** ამ დროს იმ ახალგაზრდამ ავტომატზე ხელი აუკრა და მის წინ ჩაიმუხლა **"Слушай, подари мне его жизнь, я тебя прошу."** ეს იყო და ჩრდილოკავკასიელი შეჩერდა: **"Ну ладно!"** – გაბზარული ხმით თქვა მან. მოვბრუნდით უკან (ეს ახლაა სათქმელად ადვილი: **"მოვბრუნდით უკან"**. არ ვარ მშიშარა კაცი, თუმცა ის რამდენიმე წამი თუ წუთი იყო ხანგრძლივი მივლინება ჯოჯოხეთში). აივანზე ჩამოვსხედით. სადილობის დრო დამდგარიყო და მათ მისვლამდე სუფრა უკვე გაეშალათ. სხვა გამოსავალი არ გვქონდა, ერთად გავტეხეთ პური. ჩემს ვალიას არაყი ქონია შემონახული. როგორც მასპინძელმა, ავიღე ჭიქა, მაგრამ არ ვიცოდი რა მეთქვა, ოდნავ შევყოყმანდი. ჩრდილოეთკავკასიელმა კბილებს შორის გამოსცრა **"Став на стол, здесь ты не хозяин. Это Адыгская земля"**.

– **"Нет, здесь он хозяин, это не Адыгская, это их земля"**. – მტკიცე ხმით უთხრა იმ ახალგაზრდა აფხაზმა, რომელმაც საიქიოდან გამომაბრუნა.

# სამეგრელო დავით დადიანის დროს

***ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი".***

**ბროსეს აზრი დავით დადიანზე. მთავრის კანცელარია: ქართული და რუსული. ივა-ბერი, ანდრი გეგეჭკორი. ვარანცოვის ბეჭდის ძებნა.**

დავით დადიანი განაგებდა სამეგრელოს სამთავროს 13 წელიწადი.

ფეოდალურს სამთავროში, სადაც ყველაფერი ბატონის ნებაზე იყო დაფუძნებული, სადაც, მაშასადამე, დიდისა და პატარისათვის სავალდებულო, დაწერილი კანონი არც კი არსებობდა, სადაც არც ხალხის განათლებას, არც საზოგადო ცხოვრების განვითარებას, არც ვაჭრობას, არც მრეწველობას, რომელიც არ არსებობდნენ, არ შეეძლოთ თავი მაღლა აეწიათ და მოეთხოვათ მთავრისაგან საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესება, ახალგაზრდა მთავარს (დავით დადიანი იყო 27 წლის, როცა ის შეიქნა სამეგრელოს მმართველად) დიდი ხასიათი და ქვეყნის სიყვარული უნდა გამოეჩინა, რომ თავიდანვე სამეგრელოს საქმეების გაუმჯობესებას და რეფორმების გზას დასდგომოდა. და მართლაც, დავითის თანამედროვე, საქართველოს მეისტორიე **მარი ბროსსე**, რომელიც ესტუმრა მთავარს 1848 წელს, აი რაგვარად აგვიწერს სამეგრელოს მთავარს და მის საქმეებს:

**"ვინც იცნობს დავით დადიანს, ყველამ იცის, რომ სრულებით არა სჭირია მას კაცმა აქოს. ეს თავადი შესანიშნავია თავის ჭკუით, შესანიშნავი თავის აღზრდით, რომელიც მან სანქტ-პეტერბურგში მიიღო; უცხოვრია ევროპაში და იქ ცხოვრების დროს გაეცნო ახალ აზრებს და იცის რა აკლია მის ხალხს, მის ქვეყანას. და ყოველ ღონესა ხმარობს გააუმჯობესოს მდგომარეობა როგორც ერთისა, ისე მეორისა. თავის ქვეყანაში ისეთი მართვა-გამგეობა მოაწყო, როგორიცაა საქართველოს იმ ნაწილებში, რომელიც უშუალოდ რუსის კანონებს ემორჩილებიან. თვითმპყრობელური მართვა-გამგეობის მაგიერ, შემოიღო სამოურავოები. მთელს სამეგრელოში თორმეტი მოურავია. ესენი არიან სამოურავოების უფროსები, რომელთა საშუალებით მთავრობა იჭერს საქმეს სოფლის უხუცესებთან. ხალხი მოგებულია. იმის მაგიერ, რომ შორს იარონ მთავართან საჩივლელად, ან სადმე გზის პირად ელოდოს მის გამოჩენას, იქვე ახლოს ჰყავს უფროსი, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება, გაარჩიოს მთხოვნელა საჩივარი. ბევრნი ძალიან კმაყოფილნი უნდა იყვნენ ამ მდგომარეობით. მოურავი თავის ხშირ-ტოტებიან ხის ჩრდილ ქვეშ მოუსმენს მთხოვნელს, ხელმძღვანელობს ადათით ან ვახტანგ მეფის კანონებით და განაჩენს გამოიტანს. მანქანა მეტად მარტივია და ადვილადაც მოძრაობს. მართლაც რომ სასიამოვნოა ხოლმე ამ მანქანის მუშაობის ყურება.**

**დადიანის ფიქრი, როგორც ეტყობა, მეორე საგანსაც მიუპყრია: ის ცდილა მეგრელს განცალკევებით, განმარტებულად ცხოვრებაზე ხელი აეღო და ერთობლივ ცხოვრების სიტკბო და სარგებლობა განეცადნა. დადიანმა ამისთვის დააარსა ზუგდიდი — ქალაქი და ბაზარი. მეგრელი ჯერ გაოცდა, — ეს რა გააკეთესო და ერთბაშად ვერ მიხვდა რაც ამბავი იყო; მაგრამ როცა აქ თავისი ნაწარმოები გამოიტანა, როცა გამოიტანა თავისი ხამი, აბრეშუმი, თავისი თუთუნი, თავისი ზედმეტი ღომი ან სხვა რამ, დაუხვდნენ მყიდველები, რომლებიც ელოდებოდნენ, დაუხვდათ დუქნები, სადაც ელაგა ფართალი, აბრეშუმის ქსოვილები, შუშის ჭურჭლეულობა, რკინეულობა, ერთის სიტყვით, ყველაფერი რაც საჭიროა, სასიამოვნოა თუნდ სულ ხელმოკლე ოჯახში,— ჰო, მაშინ ისიც შეეცადა გამოეტანა აქ მეტი ნედლი მასალა და თითონაც უფრო გაეფართოვებინა თავისი წარმოება".**

ცოტ-ცოტად დავით დადიანის კარგი მმართველობა სულ ყველაფერს დაეტყო სამეგრელოში: სოფლის მეურნეობას, მრეწველობას, ვაჭრობას, ადმინისტრაციას, სასამართლოს, საეკლესიო საქმეებს... მაგრამ სანამ ამაებზე ვილაპარაკებდეთ, ჯერ იმ დაწესებულებებზე უნდა ვთქვათ ცოტა რამ, საიდამაც ვრცელდებოდა სამეგრელოში მთავრის განკარგულება. მე ვამბობ მთავრის კანცელარიაზე.

**დუბროვინი** წერს: სამეგრელოს მთავრები წერილობით საქმის წარმოებას გაურბოდნენ. ძველის-ძველად რაც იყო სამეგრელოში ეს დაბეჯითებით არ ვიცი, მაგრამ ეს კია, რომ მეთვრამეტე საუკუნეში და ცოტა იმის გადაღმაც და გადმოღმაც ადმინისტრაციული განკარგულება და სამართალი მართლა უფრო სიტყვიერად ხდებოდა და წყდებოდა, ვიდრე წერილობით. არსებობდა მთავრის მიწერილობა თანამდებობის კაცებთან, რადგანაც ათასში ერთხელ ამგვარ მიწერილობას, უმეტეს ნაწილად მთავრის მოძღვრისგან ნაწერს, კიდევ როგორმე შეეყრება კაცი სოფლითისოფლად, იწერებოდა წყალობის წიგნები, სიგელები. მაგრამ არ იყო დაწესებულება, სადაც უნდა დაცულიყო სამთავრო საქმეთა წარმოება და მიწერ-მოწერა, დღევანდელის ენით რომ ვთქვათ არ იყო კანცელარია. ის როგორც დაწესებულება შემოიღო პირველად მთავარმა დავით დადიანმა. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ ქუთაისის გუბერნიის სამმართველოსადმი გადაცემულ მთავრის კანცელარიის საქმეებიდამ **(Дела канцелярии владителя Мингрелии)** სჩანს, რომ პირველი საქმეები დღემდის ჩვენამდის ჩამოწეული ეკუთვნიან დავით დადიანის მემკვიდრეობის დროის მმართველობას. 1836 წლამდე შედგენილი საქმე გუბერნიის სამმართველოში აღარ არის, აქედამ ცხადია, რომ წერილობითი საქმის წარმოება, პირველად შემოიღო სამეგრელოში მთავარმა დავით დადიანმა.

დავით დადიანს ორი კანცელარია ჰქონდა: ქართული და რუსული.

ქართული კანცელარიის მდივანი იყო იეროდიაკონი ივანე ხოშთარია, **ივა ბერად** წოდებული. ამას დიდად უჯეროდა მთავარი, მაგრამ სამეგრელოს დიდკაცობა ემდუროდა. თუ ამათ მთავართან თხოვნა არ გაუვიდოდა ივა-ბერის ბრალი იყო და შემდეგ მთავარის გარდაცვალებისა, როცა საჭყონდიდლოში გლეხების ამბოხება ატყდა, დიდკაცობამ შური იძია ღირსეულ მდივანზე. ის დააბეზღეს უმაღლეს მთავრობასთან და ივა-ბერი ხელფეხშეკრული სამეგრელოდან სადღაც გადაკარგეს. ივა-ბერის მწერლებად იყვნენ თევდორე ხოშთარია, შემდეგში სასახლის მოძღვარი და ორი სხვა ყმაწვილი კაცი. მთავრის კაბინეტის პირად სეკრეტრად იყო ნადიაკვნარი გიორგი ცხვიტარია.

მთავრის რუსულს კანცელარიას განაგებდა დეკაბრისტი პოტოცკი, ბესტუჟევის ამხანაგი, რომელიც ციმბირიდამ იყო დაბრუნებული. გრიგოლ გურიელისგან გამიგონია, ეს კაცი დიდი იეზუიტი იყო და ერთხელ დავითი მოსწამლაო. რუსულ კანცელარიაში მწერლებად იყვნენ ანდრი გეგეჭკორი და ევგენი დგებუაძე.

იმ დროებში, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ანდრი გეგეჭკორი იყო, თუ არა ერთად-ერთი, იშვიათი მეგრელი, რომელმაც რუსული წერა-კითხვა იცოდა. ამის გამო ამ საჩინო კაცის თავგადასავალი დღემდის არ დავიწყნია სამეგრელოს. დავით დადიანმა რაღაც შემთხვევის გამო ის გალახა, გაროზგა. საზოგადოდ დავით დადიანი ყოველ ხელობას და სწავლას დიდად აფასებდა თავის სამთავროში და რა იყო მიზეზი მთავრის ამ ზომამდის გულის წყრომისა ვერ შევიტყვე. თუ მიდგომაში არ ჩამოერთმევა მის ძმას გრიგოლ დადიანს, მან მიამბო: **"ანდრი გეგეჭკორი წაეკიდა ერთ მწერალს, მის ამხანაგს და დავითმა ამის გამო ის დატუქსა. ამან თურმე იუკადრისა შენიშვნა და სიტყვა შეუბრუნა მთავარს, "დედა შეაგინაო" და მთავარმა ამის გამო ის დასაჯაო"**. ბესარიონ ხოფერიას, გეგეჭკორის დასჯის მიზეზად ის გაუგონია, რომ ის გაარშიყებია მთავრის ადიუტანტის არლოვის ცოლს, რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი გეგეჭკორის დასჯისა.

*(გაგრძელება იქნება)*

# ვეტერანთა ცივი და შიმშილიანი შემოდგომა

**"ვეტერანი"** ლათინური სიტყვაა და იგი ნიშნავს დიდხანს ნამსახურს, ომგადახდილ მებრძოლს, ძველ, გამოცდილ მეომარს. შემდგომ იგი დამკვიდრდა როგორც ძველი, დამსახურებული მუშაკის, მოღვაწის აღმნიშვნელი მცნება.

პირველად რომაელებმა დააფასეს ომგადახდილი ადამიანები, რომლებსაც, მართალია, მოძალებული ასაკის გამო ძველებური შემართებით აღარ შეეძლოთ ბრძოლის ველზე ბდღვინვა, მაგრამ მათი გამოცდილება ხშირად სჯაბნიდა მტრის ფიზიკურ უპირატესობას, რაც ხშირად გადახრიდა ხოლმე ომის სასწორს ვეტერანთა მხარეს. რომაელებმა კი ნამდვილად იცოდნენ თითეული ჯარისკაცის, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების ფასი, ამიტომ, მათ ცალკე კასტად ჰყავდათ გამოყოფილი ომის ვეტერანები, ყოველგვარ პრივილეგიებს ანიჭებდნენ მათ, უსასყიდლოდ ურიგებდნენ მაღალნაყოფიერ მიწებს, აძლევდნენ მაღალ პენსიებს, ძმურად უყოფდნენ ნაალაფარს. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ სამშობლოს სჭირდებოდა მათი ცოდნა და გამოცდილება, მაგრამ უფრო მეტად იმისთვის, რომ პოლიტიკოსებიცა და მხედართმთავრებიც ღრმა პატივისცემით იყვნენ გამსჭვალული, რომლებიც იარაღით ხელში იცავდნენ რომის ღირსებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, საიმედოდ უმაგრებდნენ ერთმანეთს ზურგს გააფთრებული ბრძოლებისას და სისხლისმღვრელი ბრძოლებიდან ცოცხლები გამოდიოდნენ არა იმიტომ, რომ გაქცევით შველოდნენ თავს, არამედ იმიტომ, რომ მაღალ დონეზე ფლობდნენ ომის ტექნიკასა და ტექნოლოგიებს. რომაელ მხედართმთავრებს უყვარდათ ვეტერანები, რომაელ ვეტერანებს კი უყვარდათ მხედართმთავრები, იმიტომ, რომ ისინი ერთი სხეულის ნაწილები იყვნენ, ურთმანეთოდ ვერც სამხედრო მეთაური გახდებოდა **"დიდი მხედართმთავარი"** და ვერც ჯარისკაცი გახდებოდა ყველასაგან პატივსაცემი **"ვეტერანი"**!

ამიტომ უყვარდა რომს ომგადახდილი ვეტერანები, გარდა მაღალი პენსიებისა და საჩუქრებისა, ხელთუქმნელი ძეგლების დადგმითაც აღნიშნავდა მათ დამსახურებას. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს ძეგლი რომელიმე ისტორიულ ბატალიას მიეძღვნებოდა, თუ კონკრეტულ მხედართმთავარს — ხელოვნების ეს ნიმუშები ხალხს ღმერთების დონეზე ჰყავდა აყვანილი, მსხვერპლს სწირავდნენ, მის წინაშე ლოცვებს აღავლენდნენ...

მაგრამ, ამას აკეთებდა ხალხი, ვისაც სწამდა ღმერთისა, თუ ღმერთების...

ათა და ბაბადან, ურწმუნოებად კი, მაშინ, სავსებით სამართლიანად, ვანდალებსა და ბარბაროსებსი თვლიდნენ, რადგან ამ კატეგორიის ხალხს არაფრად მიაჩნდათ ისტორიული მეხსიერება, მხოლოდ მიმდინარე საზრუნავით იყვნენ დაკავებული, არ იცოდნენ ომის საპატივცემულოდ აღმართული ძეგლების ფასი და ხელის აუკანკალებლად ანგრევდნენ ხოლმე მას (ეს პასაჟი დაიხსომე, ძვირფასო მკითხველო!).

დღეს, როცა უკვე სამოცდაათ წელს მივაღწიე, ნაღვლიანად ვიხსენებ ომისშემდგომ დღეებს იმ თანატოლებთან ერთად, რომელთაც აღარ გვეღირსა დიდი სამამულო ომიდან ჩვენი მამების ვეტერანებად დაბრუნება, რადგან მათ სამშობლოსათვის დასდეს თავი. ჩემნაირი ნახევრადობოლი ბავშვები, შეიძლება ითქვას, რომ სკოლასა და ქუჩას ვიყავით მინდობილები, რადგან დედები მუშაობდნენ, რათა ჩვენი და საკუთარი თავი გამოეკვებათ. ქუჩა კი მაშინ ცუდს არაფერს გვასწავლიდა, რადგან საზოგადოების მორალური კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი მაქსიმალურად ახლოს იდგნენ ერთმანეთთან. ის ადამიანებიც კი, რომელთაც კლასიკური განათლება არ გააჩნდათ, გვასწავლიდნენ ვეტერანებისა და საერთოდ, უფროსი თაობისადმი პატივისცემას. დღევანდელი მორალი და კანონი ხომ ძალზე დაშორებული არიან ერთმანეთისაგან. თუნდაც საქართველოს სკოლებში ვიღაც უჯიშოთა მიერ შემოთესლილი **"უნარ-ჩვევების"** ის ნაწილი რად ღირს, სადაც ნათქვამია, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ფეხზე მდგომ უფროსს ადგილი არ უნდა დაუთმო, რადგან შენ ამ ადგილის ფლობის ბილეთი გაგაჩნიაო. სწორედ ასეთ სფეროში აღზრდილ ადამიანს (უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით — **"არაადამიანს"**) შეუძლია ვეტერანი მოიხსენიოს **"ჩასარეცხად"**, გადაუგრიხოს ქუჩაში საპროტესტოდ გამოსულ უმწეო, სოციალური და ყოფითი პრობლემებით გაწამებულ ვეტერანს ხელები, დააპატიმროს და სასამართლოს ძალით ფულადი ჯარიმა დააკისროს!

ომებში დაღუპულ სამშობლოს დამცველთა და ვეტერანთა საპატივცემულოდ აგებული მემორიალის მართლაც ვანდალურად აფეთქებაზე აღარაფერს ვამბობ! მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეაგირება მოახდინა პოლიცის მიერ დარბეულ საპროტესტო აქციაზე და ორგანოებიდან დაითხოვა ერთ-ერთი პოლიციელი, რომელმაც განსაკუთრებული სისასტიკე გამოავლინა დემონსტრანტი ქალბატონს მიმართ, მაგრამ ჩვენც კარგად ვიცით, რომ ეს უწყება შედარებით პირნათლად გამოიყურება სხვა, თუნდაც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან შედარებით, რომელიც ერთნაირი სისასტიკით ჰყრის დროებითი საცხოვრებლებიდან როგორც ომის ვეტერანებს, ასევე უსახლკაროდ დარჩენილ ლტოლვილებს!

ნუთუ ვინმეს მართლა ჰგონია, რომ ერთი პოლიციელის სამსახურიდან განთავისუფლების ქვეყანას რამე ეშველება?

ბრძენს უთქვამს: **"თევზი თავიდან ჰყარსო"**! სწორედ ეს თავია მისახედი, თორემ უჭკუო თავი რომ ფეხებს სწორი მიმართულებით არ წაიყვანს, ესეც ცხოვრებისაგან არაერთგზის დადასტურებული ჭეშმარიტებაა!

სიყალბითა და თვალთმაქცობით გამორჩეულმა საქართველოს ხელისუფლებამ იმდენი მოხერხა, რომ არამც თუ არჩევნები, არამედ თვით ოპოზიციაც გააყალბა!

ამიტომ, დღეს საქართველოში უკვე აღარ დარჩა ძალა, რომელიც ომისა და შრომის ვეტერანების სასიცოცხლო ინტერესებს დაიცავენ!

ქვეყანაში დღეს ესოდენ მომძლავრებული სოციალური და ეკონომიკური გასაჭირი მომაკვდინებელია ვეტერანთათვის, რადგან ზოგი მათგანი ინვალიდია, ზოგი უმწეო მოხუცი, მათ უმეტესობა კი, როგორც წესი. უმუშევარია. მაშინ, ვეკითხებით, როგორ უნდა ირჩინონ მათ თავი მიზერული პენსიებითა და შემწეობებით, მაშინ, როცა ხელისუფლების ნებიერა კომერციული სტრუქტურები განუხრელად ზრდიან მომსახურეობის ფასებს, ბაზარზე კი ასევე განუხრელად იზრდება პროდუქციის ფასი მთელ მსოფლიოში მომძლავრებული კრიზისის გამო!

ასფალტიანი გზა შეეხიდება მათ გასაჭირს, თანამედროვე სტილში აგებული რესტორანი თუ ნაირფრად მოკაშკაშე მოცეკვავე შადრევანი? რესტორნის ფული კი არა, წამალი ვერ უყიდიათ საწყალ ვეტერანებს ლუკმა-პურის ძიებაში დასიებული ფეხების დასაამებლად!

მართლაც ცინიზმია, რომ ყოველივე ამის შემდეგ საკუთარ ხალხს ბედნიერ მომავალსა და დემოკრატიაზე ეჭბედო!

რომაული თქმისა არ იყოს, **"სანახაობა"** კარგია, მაგრამ **"პურთან"** ერთად! როცა ვეტერანებიცა და არავეტერანებიც მშიერი გყავს, მაშინ დანაშაულის ტოლფასია ამ დამშეულ ქვეყანაში მსოფლიო ხელოვნების გრანდების ჩამოყვანა და მათთვის სოლიდური ჰონორარების გადახდა. სწორედ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა **"გარეთ მტერს ევსება თვალი, შიგნით კი — მოყვარეს"**!

აი, ასეთი განუკითხაობის ჟამს გამოდის საქართველოს პრეზიდენტი და წარბშეუხრელად აცხადებს: **"მე რომ ოჯახში ორი-სამი მილიონი ლარი მქონდეს, შავიზღვისპირა საგარაკო ზონაში სასტუმროს ავაშენებდიო"**.

ოცი-ოცდაათი მილიარდი რომ ენატრა, კიდევ შეიძლება დაგვეჯერებინა, თორემ მილიონები კარგა ხანია ხურდა ფულად მიაჩნიათ მისი ოჯახის წევრებს, რომლებიც მისი პრეზიდენტობის დღიდან აკონტროლებენ ნავთობისა და სხვა სარფიან ბიზნესებს!

საინტერესოა, მიხეილ სააკაშვილს და მის გარემოცვას მართლა ჩალითა და აბლაბუდით დახურული ხომ არ ჰგონიათ ეს ქვეყანა?

ჩვენი ბრალია ყველაფერი, ამდენის უფლებას რომ ვაძლევთ!

შედეგად, ყველა მაძღარია საქართველოში, ქართველის გარდა!

შიმშილი დაძრწის საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში! და არ ამოიკვეთება მანამ, ვიდრე საქართველოში ნაციონალები და მათი დიდ-პატარა ბელადები ისტორიას არ ჩაბარდებიან!

**როლანდ ჯალაღანია,**
**"ფაზისის" აკადემიის**
**ნამდვილი წევრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

დიახ, ნოვიკოვი თვეობით არ გამოდიოდა იჟევსკის ქარხნიდან, მაგრამ ლავრენტი ბერიასაც ხომ მისი დიდი ძალისხმევის იმედი ჰქონდა. და ამ იმედის სრული უფლება მას გააჩნდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ საგანგებო დრო იდგა, არამედ იმიტომ, რომ თავადაც თავდაუზოგავად შრომობდა და ამიტომაც იყო **"ფერმკრთალსახიანი"**.

იგივე ნოვიკოვი კიდევ ერთ უაღრესად საგულისხმო შემთხვევას იხსენებს... 1942 წლის გაზაფხულზე მასთან ქალაქ იჟევსკში ჩავიდა ლავრენტი ბერიას მიერ გაგზავნილი გენერალ-ლეიტენანტი ტკაჩენკო, რომელსაც დავალებული ჰქონდა, რომ ქარხანაში პირადად ედევნებინა თვალყური ტყვიამფრქვევ **"მაქსიმის"** მასიური წარმოების პროცესისათვის, რაც თავად ტკაჩენკომ მოითხოვა შეიარაღების სახალხო კომისრის მოადგილესთან პირველივე ვიზიტისას. მტკიცებას ვერ შევუდგები, მაგრამ, ყოველნაირად დასტურდება, რომ იგი გახლდათ სსრკ შინსახკომის მე-7 საიდუმლო განყოფილების უფროსი, რომელიც ახორციელებდა კონტროლს საბჭოთა კავშირში ნაღმმტყორცნების წარმოებაზე. ამდენად, ტკაჩენკო ნოვიკოვთან ქარხანაში დიდ ხანს ვერ დარჩებოდა. მაგრამ, თუ ამ უკანასკნელს დავუჯერებთ, **"ტკაჩენკო მას დიდი ხნის განმავლობაში ლანდივით მუდამ თან დასდევდა"**. სხვათა შორის, ავტორი წიგნისა **"უცნობი ბერია"**, ალექსეი ტოპტიგინი, ნოვიკოვის ამ მონათხრობს საკმაოდ თავშესაქცევ ანეკდოტად მიიჩნევს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ისტორია სრულიადაც არ არის თითიდან გამოწოვილი.

ამრიგად, ტკაჩენკომ გააცნო ნოვიკოვს მის მიერ ლავრენტი ბერიას სახელზე შედგენილი მოხსენებითი ბარათი. ხაზს ვუსვამ – ტკაჩენკომ ნოვიკოვის ზურგს უკან კი არ გააგზავნა მოხსენებითი ბარათი, არამედ იგი ნოვიკოვს გააცნო! და მიუხედავად ნოვიკოვის პროტესტისა, ტკაჩენკომ მოხსენებითი ბარათი დანიშნულებისამებრ გააგზავნა. ნაკლებ სარწმუნოა, რომ ტკაჩენკო ყველაფერში ცამდე მართალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ტყვიამფრქვევების ქარხნის დირექტორი დუბოვოი მან დაახასიათა როგორც სუსტი მუშაკი და მოითხოვა მისი შეცვლა №74-ე ქარხნის მთავარი მექანიკოსით პ.ა. სისოევით, ნოვიკოვი კი ასე **"იცავდა"** დუბოვოის: **"რაც შეეხება ქარხნის დირექტორ დუბოვოის, იგი კეთილსინდისიერად მუშაობს, მაგრამ... მას მე ვცვლი ხოლმე ამ მძიმე დღეებში. და თუ, თქვენი აზრით, დირექტორი უნდა განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, მაშინ უნდა გამანთავისუფლოთ პირადად მე"**.

ამრიგად, ვერც 1942 წელს და ვერც 80-იან წლებში, ნოვიკოვმა, რომელმაც ფაქტიურად დაამტკიცა ტკაჩენკოს პოზიციის სისწორე დუბოვოისთან მიმართებაში, ვერ შეიგნო, რომ ძლიერი მუშაკები უფროსობისაგან დასაყრდენს არ უნდა საჭიროებდნენ და დაამტკიცა, რომ ქარხნის ფაქტიური დირექტორი იყო ის და არა დუბოვოი.

სიტყვისათვის აღვნიშნავ, რომ სისოევი 1942 წელს დანიშნეს იჟევსკის ახალი მექანიკური ქარხნის დირექტორად, რაც მე შევიტყვე 1987 წელს ნოვიკოვის რედაქციით გამოსული სოლიდური კოლექტიური მონოგრაფიიდან **"გამარჯვების იარაღი"**. სხვათა შორის, ტკაჩენკოს **"პროტეჟე"** სისოევის ფოტოსურათი და ბიოგრაფია მონოგრაფიაში გამოქვეყნებულია, მაგრამ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი დუბოვოიზე.

ასე იყო თუ ისე, ტკაჩენკომ მოხსენებითი ბარათი გააგზავნა. და, აი, ღამის სამ საათზე ნოვიკოვს საგანგებო სატელეფონო ხაზით ურეკავს ლავრენტი ბერია და იწყებს ნოვიკოვის აზრის გაცნობას ქარხნის იმ თანამშრომლებზე, რომელთაც ტკაჩენკო **"მავნებლებად"** მოიხსენიებს. ნოვიკოვი ყველაფერს უარყოფს და შემდეგ ბერია იმით ინტერესდება, თუ სად არის გენერალ-ლეიტენანტი ტკაჩენკო. ბედად ისიც გამოჩნდა კარებში და ნოვიკოვი მას ყურმილს აწვდის... შემდეგ, თუ ნოვიკოვის სიტყვებს დავეყრდნობით, ტელეფონის ყურმილში მხოლოდ დედის გინება ისმის. ამ გინების არსი კი შემდეგშია:

**"მე რატომ გაგაგზავნე ნოვიკოვთან – საჯაშუშოდ თუ მის დასახმარებლად? ასეთი დეპეშისათვის, შე ნაბიჭვარო... დასახვრეტი ხარ! მე შენ ადამიანის დასახმარებლად გაგაგზავნე, შენ კი ჩირქს სცხებ წესიერ მუშაკებს!"**

**ტკაჩენკო ჯერ გაშავდა, შემდეგ გალურჯდა და ძლივს ამოღერღა: "გისმენთ, ამხანაგო სახალხო კომისარო!"**

**ასეთი "აღზრდის" თაობაზე მე ცხოვრებაში არც მაშინ გამიგონია და არც შემდეგ. ამის შემდეგ ტკაჩენკო ჩემთან არ გამოჩენილა ათი დღის განმავლობაში. მალე კი საერთოდ გაემგზავრა იჟევსკიდან..."**

ბერიას მიერ დედის გინება და ის, რომ **"ტკაჩენკო ჩემთან არ გამოჩენილა ათი დღის განმავლობაში"**, მემუარისტის სინდისზე იყოს. ჯერ ერთი, ტკაჩენკო, ომამდეც, ომის დროსაც და ომის შემდეგაც ბერიას **"გუნდში"** ირიცხებოდა, და როგორც წესი, მას მხოლოდ კონტროლის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. ესე იგი, ბერია ტკაჩენკოს ენდობოდა, ხოლო თანამშრომლებისათვის შეურაცხყოფის მიყენება სხვების თანდასწრებით, ბერიას არასდროს ჰქონია წესად. მეორეც, თუნდაც დავუშვათ, რომ ამგვარ საუბარს ადგილი მართლაც ჰქონდა, გენერალ-ლეიტენანტი თავს უფლებას ვერ მისცემდა, რომ ორი კვირის განმავლობაში უსაქმოდ ეხეტიალა იჟევსკის ქუჩებში და სწრაფად არ გამგზავრებულიყო მოსკოვში.

მაგრამ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნოვიკოვის ამ სიტყვებში? ის, რომ ბერიამ მკაცრი თვალყური დააწესა ნოვიკოვზე მისი პრინციპული პოზიციის გამო! მაგრამ, სად არის აქ ხალხისადმი უნდობლობა და ეჭვიანობა? მით უმეტეს, თავად ნოვიკოვი გულწრფელად აღიარებს, რომ მწვავე პრობლემების წარმოქმნისას იგი პირდაპირ უკავშირდებოდა ბერიას... ლავრენტი პავლეს ძე კი მას ჩვეულებისამებრ პასუხობდა: **"კეთილი, რაღაცას მოვიფიქრებთ..."**

მაგრამ ნოვიკოვი სახალხო კომისრის ამ საქციელს იმით ხსნის, რომ **"ბერიას სიკვდილივით ეშინოდა სტალინისა, შიშობდა, რომ არ დაეკარგა მისი ნდობა და კეთილგანწყობა..."** დასკვნა ნათელია: **"მონსტრი"** სახალხო კომისარი საქმეზე და ფრონტის საჭიროებებზე კი არ ზრუნავდა, მხოლოდ იმას ცდილობდა რომ საკუთარი ტყავი გადაერჩინა...

ტკაჩენკოსთან დაკავშირებულ ამბებს იმოწმებენ თავიანთ წიგნებში იური მუხინი, ალექსეი ტოპტიგინი და ელენე პრუდნიკოვა. მუხინი ამბობს, რომ ნოვიკოვი ბერიას როცა სისხლისმსმელად, ტყავისგამძრობად მოიხსენიებს, ამით მხოლოდ პირად შეხედულებებს აჟღერებს... ეს, რა თქმა უნდა, ნოვიკოვის მხრიდან არამართებული გამოხტომაა, რადგან ბერიამ ბევრი რამ გააკეთა ფრონტისათვის. მაგრამ, ნოვიკოვის მაგალითი ესოდენ დამახასიათებელია სხვებისთვისაც. მათ მიერ გამოთქმული აზრიც კი, ვისაც უშუალო პირადი შეხება ჰქონდათ სახალხო კომისარ ლავრენტი ბერიასთან, შეიძლება ორ, ურთიერთსაწინააღმდეგო ნაწილად გამოვაცალკევოთ.

რაც შეეხება ბერიას საქმიანი თვისებების შესახებ მემუარისტის მიერ გამოთქმულ აზრს, აქ შესანიშნავად სჩანს, რომ საქმე გვაქვს თავისი საქმის ერთგულ და მაღალოსტატურად შემსრულებელ ადამიანთან.

რაც შეეხება სხვისი აზრების დამოწმებას, აქ მემუარისტი ლავრენტი ბერიას წარმოგვიდგენს ანგარებიან არამზადად.

მაგალითად, ნოვიკოვი წერს, რომ, როცა იჟევსკში ქვანახშირის ერთი დღის მარაგი რჩებოდა, იგი საგანგებო სატელეფონო ხაზით ბერიას ურეკავდა და ქვანახშირიც მოდიოდა. ეს ნოვიკოვის მიერ აღწერილი ზუსტი ფაქტია. იგი თავად ითხოვდა ქვანახშირს და თავადვე იღებდა.

მაგრამ ნოვიკოვი წერს, რომ ბერია ბოროტად იყენებდა ხელისუფლებას და იჟევსკისაკენ შემოაბრუნებდა იმ ქვანახშირიან ეშელონებს, რომელიც კუზბასიდან ყაზანისაკენ მიემართებოდა საავიაციო დარგის საწარმოებისათვის. თითქოს, ლავრენტი ბერიას ფეხებზე ეკიდა საქვეყნო საქმე და ყოველი გზით სურდა ვნება მიეყენებინა საბჭოთა კავშირის **"ავიაციის მრეწველობის"** კურატორ გიორგი მალენკოვისათვის.

გამორიცხული არ არის, რომ ეშელონების გადამისამართებას მართლაც ჰქონოდა ადგილი,

მაგრამ, კატეგორიულად გამორიცხულია, რომ ამის თაობაზე იჟევსკში მოკალათებულ ნოვიკოვს რაიმე სცოდნოდა. როგორ გგონიათ, მაშინ ნოვიკოვს ექნებოდა იმის გარკვევის თავი, თუ საიდან შემოვიდა ქვანახშირიანი ეშელონი?

შემოვიდა და, ძალიან კარგი!

ხოლო, რაც შეეხება ქვანახშირიანი ეშელონების გადამისამართებით მალენკოვის ავტორიტეტისათვის ზიანის მიყენებას, ეს მთლიანად ნოვიკოვის მიერ თითიდან გამოწოვილი ფაქტია! მას ხომ მიზნად აქვს, ბერია ისე გააშავოს, როგორც მაღაროდან ახლახანს გამოხული ქვანახშირის მომპოვებელი მუშა. და საქმე იმაში კი არ არის, რომ თუნდაც ერთი ამგვარი თვითნებობა საკმაოდ ძვირად დაუჯდებოდა ბერიას! საქმე იმაშია, რომ ქვანახშირის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გადაზიდვის სურათი ნოვიკოვისათვის საერთოდ უცნობი იქნებოდა. ესე იგი, როცა ნოვიკოვი თავის **"პერესტროიკისდროინდელ"** მემუარებს სწერდა, იგი ძირითადად ბერიას სახელთან დაკავშირებული ბინძური ჭორებით მანიპულირებდა. მაგრამ ამას აკეთებდა არა ანტონოვ-ოვსეენკო, არამედ საბჭოთა წარმოების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, სოციალისტური შრომის გმირი... სამწუხაროდ, ის ერთადერთი არ არის, ვინც ასე უსინდისოდ თხვრის ლაფში ბერიას სახელს.

ვამთავრებ რა თემას **"ბერია და შეიარაღება"**, აღვნიშნავ, რომ მისი ომში დამსახურება არამც თუ მიჩქმალულია, არამედ უამრავჯერაა ფალსიფიცირებული ოფიციალური წყაროების მიერ. თვით ბერიასადმი ლოიალურად განწყობილი პრუდნიკოვაც კი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრ ბერიას კურირებას შეიარაღებაზე აღიარებს 1942 წლის 4 თებერვლიდან და ამ პერიოდამდე დამსახურებებს ვოზნესენსკის მიაწერს. ეს, უბრალოდ, არ შეიძლება ასე იყოს, რადგან ვოზნესენსკი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი გახდა 1942 წლის თებერვალში. წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ ბერია 1941 წლის ივლისში საკუთარ კაბინეტში არ ჩაატარებდა საშხანების წარმოებასთან დაკავშირებულ თათბირს! მას რა, განა საკუთარი საქმე არ ჰქონდა თავსაყრელად? და არ ჩამოაყალიბებდა შინსახკომში 1941 წლის სექტემბერში ნაღმმტყორცნების წარმოებაზე მაკონტროლებელ მე-7 განყოფილებას. გარდა ამისა, ომის დასაწყისშივე კიდევ რა სახის იარაღის წარმოება უკავშირდება ბერიას, როგორც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრის სახელს? მაშინ ხომ სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი მხოლოდ ხუთი წევრით იყო დაკომპლექტებული, იოსებ სტალინის ჩათვლით? ტანკების წარმოება, როგორც ვიცით, ომის დაწყებისთანავე სტალინმა ვიაჩესლავ მოლოტოვს ჩააბარა, საავიაციო წარმოებას ჯერ კურირებდა გიორგი მალენკოვი (ლავრენტი ბერიას დახმარებით...). შეიარაღებისა და ტყვია-წამლის წარმოება კი მთლიანად ლავრენტი ბერიას კისერზე გადადიოდა.

მოგვიანებით ტანკებისა და თვითმფრინავების წარმოებაც **"საჭურველმტვირთველ და მეტყვიაწამლე ბერიას ჩააბარეს"** (პრუდნიკოვამ ვერ შეამჩნია, რომ ნოვიკოვი იმ კონკრეტულ დროს აფიქსირებს, როცა ბერიას, ომის დაწყების შემდეგ, შეიარაღების სახალხო კომისარიატის კურირება დაევალა).

სამწუხაროდ, ტოპტიგინიც იუწყება, რომ **"სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა** (ესე იგი, სტალინმა – ს.კ.) **სსრკ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ტანკების წარმოების სეგმენტი ბერიას ჩააბარა 1942 წლის მიწურულს"**. მაგრამ ბერიამ ხომ ბევრად ადრე მიიღო ამ დარგის კურირების დავალება?

ბერიამ ბევრი რამ გააკეთა რეაქტიული ჭურვების წარმოების მთელი გამის ასაწყობად გვარდიულ ნაღმმტყორცნ **"კატიუშასათვის"**. და კიდევ ერთი... 40-იანი წლების ჩანაწერებში ვანნიკოვი მოიხსენიებს ბერიას, როგორც გმირული სულისკვეთების მქონე ადამიანს, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ფრონტისათვის იარაღისა და ტყვია-წამლის შეუფერხებლად მიწოდების საქმეში. შეგახსენებთ, რომ ეს გახლდათ ბერიას სამხედრო ბიოგრაფიის ერთ-ერთი **"იპოსტასი"**...

სარეზერვო ფრონტი და უკანდახეულთათვის გზის გადალობვის ქვედანაყოფების შექმნა ომის ხილული ნაწილია. ჟურნალისტური შტამპი რომ გამოვიყენოთ, ჩეკისტი ბერია წარმატებით იბრძოდა **"ფრონტზე, რომელსაც ფრონტის ხაზი არ გააჩნია"**, ე.წ. **"უხილავ ფრონტზე"**. 1941 წლის 20 ივლისს, როცა გაერთიანდა შინსახკომი და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი, ბერია კვლავ ჩაუდგა სათავეში **ამ "უხილავ ფრონტს"**. მან ტყუილად არ დაიტოვა საკუთარი მეთვალყურეობის ქვეშ უცხოეთში მყოფი დაზვერვის ქსელის მუშაობა.

ამ თემაზე უამრავი რამის დაწერა შეიძლება, მაგრამ ჩემი წიგნი მაინც საკმაოდ სქელტანიანი გამოდის. სწორედ ამიტომ, მე არ მომყავს ყველა ციფრი იმის თაობაზე, თუ როგორ ვითარდებოდა იარაღის წარმოება საბჭოთა კავშირისათვის უმძიმეს დიდი სამამულო ომის წლებში, რაც თავისთავად მეტყველებს ბერიას უზარმაზარ შესაძლებლობებზე.

საჭირო კი გახლავთ ყოველივე ამის დამოწმება!

რაც შეეხება ბერიას მუშაობას დაზვერვის სფეროში, აქ მხოლოდ ერთი მაგალითის მოყვანით შემოვიფარგლები, რომელიც ახასიათებს მას, როგორც ადამიანს. მით უმეტეს, რომ თემა **"ბერია და დაზვერვა 1941-1943 წლებში"** ამოუწურავი თემაა, მე კი მოგვიანებით შევჩერდები **"ატომური"** დაზვერვის თემაზე, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ომის წლების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ბერიას სახელს.

ამიტომ, ჩვენ ულამაზეს ზოია რიბკინა-ვოსკრესენსკაიასთან ერთად შევაბიჯებთ ბერიას კაბინეტში, რათა თვალნათელი გავხადოთ იქ განვითარებული მოვლენები.

ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში ვოსკრესენსკაია ჩართეს განსაკუთრებული ჯგუფის შემადგენლობაში, რომელსაც ევალებოდა **"დივერსიული ჯგუფების შერჩევა, მომზადება სწავლება და მტრის ზურგში გადასროლა"**. ახლა კი, 1941 წლის ოქტომბერში რიბკინა კვლავ ემზადებოდა მეუღლესთან, გამოჩენილ მზვერავთან ბორის არკადის ძე რიბკინ-იარცევთან დასამშვიდობებლად. როგორც მკითხველმა უკვე იცის, ბორისი შვეციაში მიემგზავრებოდა, სადაც საელჩოს მრჩევლის თანამდებობას ამოფარებულს უნდა ემოქმედა.

და, აი, რა ხდებოდა შემდეგ:

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქინფორმის გვერდი საქინფორმის გვერდი საქინფორმის გვერდი

**არც მთლად სასიხარულო და საახალწლოდ მოსალოცი, მაგრამ ჭირი ჩვენია და ჩვენვე უნდა გავიზიაროთ**



### საქართველოში შიდსით ინფიცირების 440 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის მონაცემებით, 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირების 2 ათას 676 შემთხვევა, არაოფიციალური მონაცემებით კი, ინფიცირებულთა რიცხვი 4 ათასს აღწევს.

დაავადების გადაცემის გზების მიხედვით, ყველაზე მეტი შემთხვევა ინტრავენურ ნარკომომხმარებლებშია – 57,3%, სექსუალური კონტაქტი - 35,8% და ჰომო-ბისექსუალური კონტაქტი - 3,1%.

პაციენტთა უმრავლესობის ასაკი 29-დან 39 წლამდეა. ამ დროისთვის მკურნალობს 811 პაციენტი, მათგან 34 ბავშვია.

### მთავრობის საინვესტიციო მოლოდინი არ გამართლდა

**„საქსტატის“** წინასწარი ინფორმაციით, 2010 წლის მესამე კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 160 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 7 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. მიმდინარე წლის მეორე კვარტალთან შედარებით ინვესტიციების მაჩვენებელი 37 მილიონი დოლარით შემცირდა.

წინასწარი ინფორმაციით, 2010 წლის მესამე კვარტალში ყველაზე დიდი რაოდენობის ინვესტიცია საფინანსო სექტორში (31%), ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორებში (25%), უძრავ ქონებაში (21%) და ენერგეტიკაში (10%) შემოვიდა. სხვა დანარჩენ სფეროებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა კი 13%-ით განისაზღვრა.

საერთო ჯამში, სამი კვარტლის მონაცემებით, ქვეყანაში სულ რაღაც 433 მილიონი დოლარის ინვესტიციამ მოიყარა თავი. ასეთი დაბალი საინვესტიციო მაჩვენებელი ქვეყანას 2005 წლის შემდეგ არ ახსოვს. სამი კვარტლის მონაცემების მიხედვით, 2010 წელს, ინვესტიციების თვალსაზრისით, ყველაზე კრიზისულმა 2009 წელმაც კი აჯობა. შარშან სამ კვარტალში 465 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2009 წელს 659.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, 2008 წელს - 1.56 მლრდ დოლარი. 2007 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2.014 მილიარდი დოლარი შეადგინა, 2006 წელს - 1.19 მილიარდი, ხოლო 2005 წელს - 449.8 მილიონი დოლარი.

### უკიდურესად ღატაკი შვიდშვილიანი ოჯახი სოციალურ დახმარებას ვერ იღებს

**„კახეთის საინფორმაციო ცენტრის“** ცნობით, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლაფნიანში მაკიევების შვიდშვილიანი ოჯახი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს და, მიუხედავად ამისა, სოციალურ დახმარებას ვერ იღებს. 4 ბავშვი სასკოლო ასაკისაა, მაგრამ არეშფერანის საჯარო სკოლაში მოსწავლედ მხოლოდ ორი ირიცხება. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს არეშფერანის საჯარო სკოლის დირექტორმა თამაზ კაპანაძემ



განაცხადა, სკოლის დირექციამ არაერთხელ სთხოვა მაკიევებს, ბავშვები სკოლაში მიეყვანათ. **„მამა მწყემსად მუშაობს, დედა კიდევ ბავშვებს ყურადღებას არ აქცევს. ტანსაცმელიც მივეცით და წიგნებიც, მაგრამ გადაყარეს“, -** აღნიშნა სკოლის დირექტორმა. სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, მაკიევების ოჯახი სოციალურ დახმარებას 2010 წელს ექვსი თვის განმავლობაში იღებდა და ივნისში, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების არ ქონის გამო, შეუწყდათ. ბავშვებზე მეურვეობა მზრუნველობის მიმართულებით სააგენტოს არასდროს უმუშავია. სოციალური აგენტები ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მშობლებს ბავშვებზე მზრუნველობის დაწესების თხოვნით სააგენტოსთვის არ მიუმართავთ.

### წყნეთის საუწყებო კოტეჯში მცხოვრები ოჯახების გამოსახლება ძალადობრივი გზით ხდება

ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა წყნეთში მცხოვრები დევნილი ოჯახების საუწყებო კოტეჯიდან გამოსახლება დაიწყეს. აღნიშნულ ინფორმაციას ინტერნეტ გაზეთი **jurnalist.ge** ავრცელებს. კოტეჯში სულ 4 ოჯახი ცხოვრობს, მათგან ერთი - ხაჩირიშვილების, უკვე ძალის გამოყენებით **გაასახლეს. „პოლიციაა მოსული და ღია ცის ქვეშ დატოვებას გვიპირებენ. დიდი ხანია, საუწყებო ბინაში ვცხოვრობთ, მაგრამ გაფორმებული არ გვაქვს. 2000 წელს ქეთევან ლაღიძემ, რომელიც თავის დროზე წალკის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო და შემდეგ იქიდან გამოაგდეს, 1800 კვ.მ ფართობი აუქციონზე სულ რაღაც 6700 დოლარად შეიძინა. რამდენიმე წელია, სასამართლო დავა მიმდინარეობს და საქმე სტრასბურგშიც გვაქვს გაგზავნილი“,-** აცხადებს დევნილი ეკა კიპაროიძე.

### "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" დევნილთა გამოსახლების შეჩერების გამო ჩივის

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" იურისტი ნინო ბოლქვაძე იუწყება, დევნილთა გამოსახლების პროცესის შეჩერების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განცხადება შეიტანეს.

მათ სარჩელი გივი ცოტნიაშვილის სახელით შეადგინეს. იურისტის თქმით, ცოტნიაშვილი კანდელაკის ქუჩის №12-ში, სხვა პირებთან ერთად, 2008 წლის სექტემბერში სახელმწიფომ ორგანიზებულად შეასახლა.

**"მან კი მიიღო გაფრთხილება გამოსახლების თაობაზე და ღია ცის ქვეშ დარჩება. ჩვენ ვაპირებთ, ამ ფაქტთან დაკავშირებით აღვძრათ სარჩელი, და შევიტანეთ განცხადება, რომლითაც ვითხოვთ გამოსახლების შეჩერებას,"** - განაცხადა ბოლქვაძემ.

**"ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი"** იმედოვნებს, რომ საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია დევნილთა გამოსახლების პროცესს შეაჩერებს.

### საქართველოში ბურების ჩამოსახლება სამხრეთ აფრიკიდან წელს დაიწყება

საქართველოში ბურების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაპუნა დავითაიამ სამხრეთ აფრიკის აგრარულ კავშირთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი.

მემორანდუმის თანახმად, ბურები საქართველოს აგრარულ სექტორში ინვესტიციებს განახორციელებენ.

ჰოლანდიელი ფერმერები, რომლებსაც სამხრეთ აფრიკაში საუკუნოვანი ფერმერული გამოცდილება აქვთ და რომლებიც მსოფლიოში ნომერ პირველ ფერმერებად ითვლებიან, საქართველოში უკვე ჩამოვიდნენ, კახეთშიც იმოგზაურეს, რთველში მონაწილეობა მიიღეს და ადგილობრივი ნიადაგის შესწავლაც დაიწყეს.

სამინისტროს ინფორმაციით, ბურები საქართველოს სოფლის



მეურნეობაში ინვესტიციების ჩადებას წლის ბოლომდე აპირებენ. ცნობილია, რომ ისინი ინვესტიციას, პირველ რიგში, მეცხოველეობის განვითარებაში ჩადებენ.

### ახალგაზრდა მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო

უბედური შემთხვევა მოხდა **„ბორჯომის“** რკინიგზის სადგურის მიმდებარე



ტერიტორიაზე. ახალგაზრდა მამაკაცმა მიტოვებული მატარებლის ერთ-ერთ ვაგონთან თავი ჩამოიხრჩო. ამ დრომდე უცნობია გარდაცვლილის ვინაობა. ადგილზე მუშაობს საპატრულო პოლიცია. როგორც გაირკვა, მამაკაცის გვამი გამვლელებმა შენიშნეს. უბედური შემთხვევა, სავარაუდოდ, გამთენიისას მოხდა. ამასთან, უცნობია თვითმკვლელობის მიზეზი.

### ლუკაშენკოს პოლონეთში შესვლა აუკრძალეს

პოლონეთმა ბელარუსის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოსა და ქვეყნის მთელ რიგ ჩინოვნიკებს თავის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა. ბელარუსის ხელისუფლების წარმომადგენელთა სია, რომელში მოხვედრილთაც პოლონეთის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებათ, ვარშავის პასუხია მინსკში 19 დეკემბერს განვითარებულ მოვლენებზე. სიაში მოხვდნენ ბელარუსი მოსამართლეები, პროკურორები, სახელმწიფო სამსახურების უფროსები და ყველა ის პირი, ვინც ოპოზიციის დევნაზეა პასუხისმგებელი.

### მოპარული წიგნები ნაპოვნია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



ბიბლიოთეკიდან მოპარული უნიკალური წიგნები საქართველოში ბრუნდება.

უკრაინელმა სამართალდამცავებმა კიევში საქართველოს საელჩოს, მე-18 საუკუნის შუა რიცხვებისა და მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოცემული 56 ისტორიული წიგნი უნდა გადასცეს.

წიგნები, რომლებიც უკრაინაში უკანონო გზით შეჰქონდათ, 2008 წლის მარტში ბორისპოლის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე დააკავეს. ისტორიული წიგნები უკრაინის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა. სპეციალური კომისიის დასკვნის გადაწყვეტილებით კი, ის ქართულ მხარეს უბრუნდება.

უკრაინაში საქართველოს ელჩის, გრიგოლ ქათამაძის თქმით, უკრაინულმა მხარემ საქართველოს საელჩოს უკვე გადასცა ეს უძველესი წიგნები.

**"წიგნების მოძიების მიზნით, 4 თვის წინ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დავალება მივიღეთ, საელჩომ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან იმუშავა და 18 იანვარს ყველაფერი დასრულდა", -** აღნიშნა ქათამაძემ.

მისი ინფორმაციით, წიგნები 19 იანვარს, დღის ბოლოს, საქართველოში დაბრუნდა. მომხდართან დაკავშირებით რამდენიმე პირი უკვე დაკავებულია.

### ბათუმში ავტობუსების მძღოლები გაიფიცნენ

ბათუმში სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლები მერიის მიერ 14 იანვარს კონკურსის ჩატარების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ. აღნიშნული კონკურსი მიკროავტობუსების ტექნიკური გამართულობის შემოწმების მიზნით ჩატარდა. ერთ-ერთი მთავარი პირობა ტრანსპორტის ასაკია. მიკროავტობუსები, რომლებიც, 16 წელზე მეტია, ექსპლოატაციაშია, კონკურსზე არ დაიშვება. მერიის წინ დღეს შეკრებილი მძღოლების პროტესტის თემას სწორედ აღნიშნული პუნქტი წარმოადგენდა.
ისინი აცხადებენ, რომ შეიძლება ტრანსპორტის გამოშვების თარიღი კონკურსის პირობას არ შეესაბამება, მაგრამ ტექნიკურად გამართული იყოს, ამიტომ ასეთი ტრანსპორტი არ უნდა შეიზღუდოს. გარდა ამისა მძღოლები მოითხოვენ, რომ მათ ტრანსპორტის მოსაწესრიგებლად გარკვეული ვადა უნდა მიეცეთ.
აქციაზე სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, მათ შორის ბათუმის საკრებულოს წევრებიც. ისინი მერიის გადაწყვეტილებას მძღოლებთან ერთად აპროტესტებდნენ.

### ჯანდაცვის სამინისტრო მოსახლეობას მიმართავს

ჯანდაცვის სამინისტრო სეზონურ ვირუსებთან ბრძოლისა და პრევენციის მეთოდებს მოსახლეობას კიდევ ერთხელ ახსენებს და მოუწოდებს, რომ სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში არ დაიწყონ თვითმკურნალობა და აუცილებლად მიმართონ ექიმს. ვირუსული ინფექციით ორი ადამიანი უკვე დაიღუპა. ჯანდაცვის მინისტრი ამბობს, რომ ქვეყანაში ეპიდემიის საფრთხე არ არსებობს, თუმცა ორსულებს, ბავშვებსა და ქრონიკული დაავადების მქონე პირებს ექიმები ამ პერიოდში განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენას ურჩევენ. საქართველოში ამ დროისთვის, ძირითადად, **A** და **B** ტიპის ვირუსებია გავრცელებული. მედიკოსები გრიპის გააქტიურებას იანვრის ბოლოს ელოდებიან.

# საზოგადოების ფსიქოლოგიური სისუსტე თუ ხელისუფლების უზურპატორული ნიჭი

*„უბედურია ის მეფეები, რომლებიც თავიანთი წყობის უშიშროებისათვის მიმართავენ უკიდურეს ზომებს და მტრად ჰყავთ ხალხის მასები. თუ ერთეულები ჰყავთ მტრად, შეუძლიათ იოლად და დიდი კონფლიქტის გარეშე მოიპოვონ უშიშროება, მაგრამ თუ მთელი ხალხი ჰყავთ მტრად, ვერასოდეს ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ უშიშროებას. რაც უფრო დიდ სისასტიკეს მიმართავს მთავარი, მით უფრო სუსტი გახდება მისი თვითმპყრობელობა. ამრიგად, მისთვის საუკეთესო საშუალებაა, ეცადოს ხალხი მეგობრად გაიხადოს.“*

/ნიკოლო მაკიაველი/

და მართლაც, როგორი უნდა იყოს ხელისუფლების პოლიტიკა, ან თავად ხელისუფლება, რომ საზოგადოების დიდი ნაწილის ნდობას და კეთილგანწყობას იმსახურებდეს?

– ამ საკითხზე პოლიტიკურ ლიტერატურაში ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს.

სამწუხაროდ, საქართველოს სახელისუფლებო წრეებში **„ხელისუფლების“** ცნება დამახინჯებულად ესმით – **„ხელისუფლებას“ „სახელმწიფოსთან“** აიგივებენ და საზოგადოებაზე ზემოქმედებენ მუსოლინისეული მოწოდებით: **„ყველაფერი სახელმწიფოსთვის, არავინ და არაფერი სახელმწიფოს წინააღმდეგ“**. თუმცა ამ მოწოდებას ლუდოვიკოსეული აბსოლუტიზმი: **„სახელმწიფო ეს მე ვარ“** უდევს საფუძვლად. ყოველივე ეს ავტორიტარული ინერციაა – ტოტალიტარული მისწრაფებით გაჯერებული.

დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება ხალხის მსახური, მისი ინტერესების დამცველი და გამტარებელია. უპირველეს ყოვლისა მისი პრიორიტეტი არა საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება, არამედ საზოგადოებისთვის, ქვეყნისთვის სასიკეთო პოლიტიკის გატარებაა. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ თუ ხელისუფლება მორალური თვალსაზრისით ზნეობრივია და სამართლიანობის პრინციპით ხელმძღვანელობს.

ხელისუფლების ზნეობრიობა დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად არის მისი პრიორიტეტი დემოკრატიული ნორმების და ეროვნული ინტერესების დაცვა. ამ უკანასკნელის პრიორიტეტულობა განაპირობებს საზოგადოებრივ ერთიანობას და ამავე დროს საფუძველი ხდება სუვერენული სახელმწიფოს ურღვეობის.

თუ ხელისუფლება ისწრაფვის ავტორიტარიზმისკენ და იყენებს დიქტატურის ელემენტებს მმართველობის პროცესში, რითაც უგულებელყოფს საზოგადოების მიერ მოთხოვნილი დემოკრატიული ნორმების იმპლემენტაციას რეალურ ცხოვრებაში, მაშინ გარდაუვალი ხდება: პირველი, ქვეყნის შიგნით პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაცია, რაც შეიძლება რევოლუციით დამთავრდეს, ან მეორე, საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით აუცილებელია გატარდეს დემოკრატიული რეფორმები.

საქართველოს შემთხვევაში სახეზე იყო (ნაწილობრივ დღესაც ასეა) პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაცია: ათეულ ათასობით ადამიანი თვეობით ქუჩაში იყო გამოსული, მაგრამ ამას არ გამოუწვევია მკვეთრი ცვლილებები, შესაძლებლობის მიუხედავად არ მომხდარა რევოლუცია. ამ უკანასკნელის მიზეზად პოლიტიკოსები მაღალ პოლიტიკურ კულტურას მიიჩნევენ. თუმცა საინტერესოა არის თუ არა ეს პოლიტიკური კულტურის და საზოგადოებრივი თვითშეგნების შედეგი? – რა თქმა უნდა ამაზე ერთმნიშვნელოვნად **„დიახ“**-ის თქმა არასწორი იქნებოდა. მართალია „რევოლუციას, როგორც მოვლენას უმეტეს შემთხვევაში, თუ მისი ყველა ასპექტი გათვლილი არ არის, სიკეთე არ მოაქვს, მაგრამ ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმის დროს არასამართლებრივი გარემოს არსებობის და არჩევნების ტოტალური გაყალბების პირობებში **„რევოლუცია“** დაჩაგრული საზოგადოებისთვის მიზნის მიღწევის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად რჩება (სწორედ მსგავსი სიტუაციის შედეგი იყო **„ვარდების რევოლუცია“**).

ყოველივე ამის შესახებ საზოგადოებამ და მითუმეტეს პოლიტიკოსებმა კარგად უწყიან, მაგრამ აღნიშნული აქციების პერიოდში არცერთ პოლიტიკოსს (ლიდერს?) არ აღმოაჩნდა შინაგანი პოლიტიკური სიმწიფე და უნარი გაეთვალისწინებინა დაჩაგრული ხალხის სამართლიანი მოთხოვნები, მიეღო რადიკალური გადაწყვეტილება და საკუთარ თავზე აეღო უდიდესი პოლიტიკური პასუხისმგებლობა – გამოეყენებინა საზოგადოების ფართო მასებში არსებული ზვირთად ქცეული უკმაყოფილება ხელისუფლების შესაცვლელად (მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ასე არ მოხდა). შემდეგ კი ლიდერისთვის მიუღებელი ფენომენი, მაღალი პოლიტიკური კულტურით იქნა ახსნილი. რაც შეეხება მეორე მოცემულობას: საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით ხელისუფლებას გაეტარებინა ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი რეფორმები, სამწუხაროდ კრახს განიცდის. უფრო სწორად, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები ერთგვარად შემგუებლურ პოზიციაში იმყოფებიან, მაშინ როცა მათი აქტიურობა სასიცოცხლოდ აუცილებელია. ამის მიზეზი სამი რამ შეიძლება იყოს: პირველი, დასავლეთმა დაკარგა ინტერესი საქართველოსადმი (რაც გამოწვეულია საქართველოს მუდმივი არასტაბილურობით და რუსეთის ფაქტორით);

მეორე, ვერ ხედავს ხელისუფლების რეალურ ალტერნატივას და მომავალ პარტნიორს დაქსაქსულ ოპოზიციურ ძალებში;

მესამე, ხელისუფლება უკეთ ახერხებს პოზიციონირებას საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, რაც იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციური ძალები არ მუშაობენ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებისთვის, რის გამოც ვერ ღებულობენ მათ მხარდაჭერას.

სამივე შემთხვევაში ეს ვითარება ქვეყნისათვის საზიანოა და შეიძლება კატასტროფულიც კი, თუ დროზე არ მოხერხდა მისი გამოსწორება.

საქართველო დღეს უმძიმეს პირობებში იმყოფება – დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის და დაკნინებულ სუვერენიტეტთან ერთად, ყველაზე მძიმე ტვირთად ქვეყანას მაინც კატასტროფული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და საზოგადოებაში არსებული აღვირახსნილი პოლარიზაცია აწევს. უმძიმესი სოციალური მდგომარეობა, უმუშევრობის სულ უფრო მზარდი ტენდენცია, რომელიც სახრჩობელად არი ქცეული ქართული საზოგადოებისათვის, პიროვნების მსოფლაღქმასა და ქცევით ნორმებზე უარყოფით გავლენას ახდენს. კერძოდ, პიროვნებას უყალიბდება ხელისუფლებისადმი უნდობლობის განცდა (ხშირ შემთხვევაში სამართლიანად), სოციალური აპათია, ფრუსტრაცია, რაც უბიძგებს მას კანონგარეშე ქმედებისაკენ. თუმცა ამ ვითარების გამოსასწორებლად ხელისუფლებას მიზანმიმართული და დაგეგმილი პოლიტიკა არ გააჩნია. მსოფლიო ბანკის ყოფილი პრეზიდენტის ჯეიმს ვულფენდსონის მოსაზრებით: **„ისტორიას არაერთხელ უჩვენებია, რომ კარგი მთავრობა არა ფუფუნება, არამედ სასიცოცხლო აუცილებლობაა. ეფექტური სახელმწიფოს გარეშე მდგრადი განვითარება, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალურიც შეუძლებელია“**. სახელმწიფოს ეფექტურობას კი ხელისუფლების ეფექტურობა და გააზრებული პოლიტიკა განაპირობებს.

რაც შეეხება სახელმწიფოს წინაშე მდგარ დაუძლეველ პრობლემას – პოლარიზაციას, რომელიც რეგრესისკენ მიაქანებს ქვეყანას, უკურნებელი სენივით მჭიდროდ აქვს ფესვი გადგმული საზოგადოებაში. მის გამოწვევაში ხელისუფლებასთან ერთად დიდი წვლილი ოპოზიციასაც მიუძღვის. ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების **„ჩემიანებად“** და **„მტრებად“** დაყოფამ, ოპოზიციის მხრიდან კი მუდმივმა დაქსაქსულობამ, დაპირისპირებამ, ვიწროპარტიულმა დამოკიდებულებამ საზოგადოებისადმი, ამ უკანასკნელთა აპათიური მდგომარეობა გამოიწვია, რის გამოც ხელისუფლებასთან ერთად, უკვე ოპოზიციურ ძალებსაც აღარ ენდობა. ამის საილუსტრაციოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არჩევნებიც გამოდგება: ხელისუფლებამ დაბალი რეიტინგის მიუხედავად ყველა სეგმენტში **„მოუგო“** ოპოზიციას.

საინტერესოა ხელისუფლების დაბალრეიტინგულობის ფონზე რამ განაპირობა ოპოზიციის მარცხი? – პირველ რიგში არასამართლებრივმა საარჩევნო გარემომ და ხელისუფლების ხელთ არსებულმა ფინანსურმა და ადმინისტრაციულმა რესურსმა, მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორი იქონია ოპოზიციის მიერ საზოგადოებამდე სწორი მესიჯების არმიწოდებამ და საზოგადოებაში არსებული პრობლემების ბოლომდე არგააზრებამ.

შედეგად კი არასასურველი სურათი მივიღეთ: ხელისუფლებამ პოზიციები გაიმყარა, ოპოზიციამ კი საზოგადოებრივი ნდობა და მასზე გავლენა დაკარგა. ამ არჩევნებით საზოგადოებისთვის არაფერი შეცვლილა – ისევ დაქსაქსული, აღშფოთებული და მიტოვებულია. საქმე ის არის, რომ პოლარიზაციის გამომწვევი მიზეზების დასაძლევად და ინტეგრაციული საზოგადოების მისაღწევად, არცერთი მხარე არ ზრუნავს. ყველა თავის ვიწროპარტიულ **„ნაჭუჭში“** იკეტება (აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოღვაწე პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას გამოკვეთილი პარტიული იდეოლოგია არ გააჩნია), საზოგადოებას კი მუდმივად **„ამომრჩევლად“**, ანუ საკუთარი პოლიტიკური მიზნის უზრუნველყოფის იარაღად განიხილავენ. მაგრამ, არავის ახსოვს, რომ საზოგადოებასაც აქვს მიზნები და ინტერესები, რომელსაც სჭირდება უზრუნველყოფა.

ტოკვილის მტკიცებით, დესპოტიზმი და ძალმომრეობა, მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს მშვიდად, როცა საზოგადოება დაქსაქსულია, პოლარიზებულია და ერთი მიზნის გარშემო გაერთიანებულ ძალას აღარ წარმოადგენს. ყოველივე ამის მიზეზი ხელოვნური ბარიერებია, რომელიც საზოგადოებას, ხალხს ერთიან ძალად ჩამოყალიბებაში ხელს უშლის.

ყოველივე აქედან გამომდინარე ისმის კითხვა – საქართველოში არსებული პოლარიზაცია: ხელისუფლება-საზოგადოება, საზოგადოება-ოპოზიცია და ოპოზიცია-ოპოზიციის ჭრილში არის თუ არა ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილი, რათა საზოგადოება ოპოზიციურ ფლანგზეც კი ადვილი სამართავი იყოს დროის ნებისმიერ მონაკვეთში? – ამის მტკიცება ძალიან რთულია, თუმცა ერთი რამ ფაქტია, საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილო მუხტის მიუხედავად და იმავდროულად აღვირახსნილი პოლარიზაციის ფონზე, ხელისუფლება **„საჭირო მომენტში“** უფრო მეტად ახერხებს ძალების მობილიზებას და დასახული მიზნის მიღწევას, ვიდრე ოპოზიცია. საზოგადოება კი მიტოვებული ჩვილის მდგომარეობაში რჩება, რაც კიდევ უფრო აღრმავებს პოლარიზაციას და ანტაგონიზმს.

ზურა ჯამბურია,
პოლიტოლოგი

# საქართველო (კოლხეთი) – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

*საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა*

**იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე**

**პროფ. ლევან სანიკიძე**

**(დასაწყისი “ილორი” კოლხეთს №97, 98, 100, 101, 102)**

### ხოტუ (ჰოტუ) მატუა – აღდგომის კუნძულის პირველი მეფე

უდიდესი შრომა გასწია ცნობილმა ენათმეცნიერმა, პროფესორმა ოთარ ქაჯაიამ – გამოსცა ოთხტომიანი მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მე-4 ტომი გამოვიდა 2009 წელს), რომელსაც ქართველოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. პროფესორმა ოთარ ქაჯაიამ იენის უნივერსიტეტის პროფესორ ჰაინც ფენრიხთან ერთად, გერმანიაში, ვისბადენში, 2001 წელს, გამოაქვეყნა შვიდასგვერდიანი **“მეგრულ-გერმანული”** ლექსიკონი. ო. ქაჯაიამ მოსკოვში პროფესორ გიორგი კლიმოვის თანაავტორობით გამოაქვეყნა **“მეგრული ლექსიკონი ქართული ეკვივალენტებით”**.

2008 წლის 31 ოქტომბერს – 1 ნოემბერს, ლონდონში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა **“ფესტოსის დისკოს”** საიუბილეო თარიღს, მთავარი მომხსენებელი გახლდათ პროფესორი გია კვაშილავა, რომელმაც პროტოქართულ (წინარექართულ) ენაზე აალაპარაკა 4 ათასი წლის წინანდელი კოლხური დამწერლობა. 2010 წლის ივლისში კემბრიჯის სწავლულთა გამომცემლობამ გამოაქვეყნა რობერტ მორატის 400-გვერდიანი წიგნი **“ქვები, რომლებიც მეტყველებდნენ”**, რომლის 150 გვერდი მიძღვნილი აქვს გია კვაშილავას. ავტორის აზრით **“ფესტოსის დისკო”** მსოფლიოში ყველაზე უკეთესად და სწორად გია კვაშილავამ გაშიფრა. წიგნში სამი სურათია – სამივე მიძღვნილია გია კვაშილავასადმი. წიგნი გამომცემლობამ დაუყოვნებლივ გამოუგზავნა გ. კვაშილავას, ახლა საჭიროა მისი თარგმნა ქართულად.

კ. შმიდტს, აგრეთვე, არ შეიძლებოდა სცოდნოდა მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიას და ვლადიმერ ვახანიას უნიკალური შვიდტომეული **“მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმომავლობა”**, რომელშიც დასაბუთებულია, რომ მეგრულ ენას სხვა ენებთან შედარებით აქვს ყველაზე მეტი, მრავალრიცხოვანი ლექსიკური მარაგი, ის მსოფლიო ენათმეცნიერებაში უდიდესი მიღწევაა, გადატრიალებაა ენათმეცნიერებაში.

მურთაზ ჯანჯღავას წიგნში, **“მეგრული ენის ფენომენი”**, თემის საოცარი მიგნებისა და ანალიტიკური მოკვლევის შედეგად, მოცემულია მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უპირველესი მეგრული ენის ლექსიკაში მეტყველების უნიკალური და უპრეცენდენტო სისტემური, გარკვეული კატეგორიის სიტყვათა ჯგუფის მაგალითები.

ქართველოლოგიაში ეს ნაშრომი დოკუმენტურ სამაგიდო წიგნს წარმოადგენს, მასზე არის რეცენზიები და კვლავაც დაიწერება, მაგრამ ყოველგვარი რეცენზიის გარეშე, ის წარმოადგენს ბრწყინვალე დანატოვარს მომავალი თაობებისათვის.

ნაშრომი უდავოდ სადოქტორო დისერტაციის ღირსია.

ბატონი მურთაზ ჯანჯღავა ნაშრომისათვის **“მეგრული ენის ფენომენი”**, აგრეთვე ღირსია არჩეულ იქნეს საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ მიიწვია მურთაზ ჯანჯღავა, მიულოცა მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომის გამოცემა, მეგრული ენის ბრწყინვალე ცოდნა და უსურვა აღნიშნული ნაშრომის მეორე ნაწილის მომზადება და გამოქვეყნება.

მურთაზ ჯანჯღავა არა მარტო შესანიშნავი მკვლევარია, ის ყველა, მაღალი ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნებაა. სამწუხაროდ, ის სრულიად უსინათლოა და ბრაილის შრიფტით მუშაობს. ასეთი ადამიანი ახლობელ-ნაცნობებს ამარაგებს მასალა-წყაროებით და უნიკალური წიგნებით.

**შენიშვნა** – ბატონმა ჯემალ ჯიქიამ ერთ-ერთმა პირველმა, 2002 წელს **“მართალ გაზეთში”** გამოაქვეყნა წყაროებით დადასტურებული წერილი, რომ ქართული (კოლხური) ენა 4.000 წლისაა, ხოლო 2005 წელს, ჟურნალ **“ცოტნეიდელში”** მსგავსი სათაურით **“ქართული (კოლხური) ენა 4.000 წლისაა, ფაზისი კოლხური ქალაქია”**. ამ დებულებას მრავალი წყარო ადასტურებს, რომელსაც ნათელჰყოფს გია კვაშილავას მიერ გაშიფრული **“ფესტოსის დისკო”**.

კოლხეთ-სამეგრელოს ისტორიის საკითხებზე დიდმნიშვნელოვანი შრომები, ფუნდამენტური ნაშრომები გამოყენებული აქვთ ანზორ შონიას, კუკური ფიფიას, ბადა (ნუგზარ) სოფიას, ნათელა ფორჩხიძეს...

(გაგრძელება იქნება)



## გულოცავთ!

ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერი, ამაგდარი პედაგოგი, უღალატო მეგობარი, სამშობლოსა და მშობლიური ერის სამსახურში დამაშვრალი ბატონი კლიმენტი შელია 86 წლის გახდა!

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო”, გაზეთი “ილორი”, გაზეთი “საქართველო და მსოფლიო”, არასამთავრობო ორგანიზაცია “ისტორიული მემკვიდრეობა”, ჟურნალი “ისტორიული მემკვიდრეობა”, საინფორმაციო სააგენტო “საქინფორმი”, ჟურნალი “აია”, მეგობრები და თანამოაზრეები გულითადად ულოცავენ ბატონ კლიმენტი შელიას იუბილეს, უსურვებენ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, რაც მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება ყველასათვის, ოჯახურ ბედნიერებას, სამეცნიერო საქმიანობის ჩვეულ ენერგიითა და პატრიოტულ შემართებით გაგრძელებას და შესაშურ ჯანმრთელობას!

იმედია, რომ ბატონი კლიმენტი კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს თავისი უნიკალური კვლევებით და თვალწინ გადაგვიშლის უძველესი კოლხეთის ცივილიზაციას, რომელიც სწორედ ბატონ კლიმენტი შელიას მუხლჩაუხრელი შრომის წყალობით, საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში, მსოფლიო კულტურის ათვლის წერტილად არის მიჩნეული.

მრავალჟამიერ, ჩვენი საიმედო და საყვარელო პიროვნება, ბატონო კლიმენტი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვცრუობ, მაშასადამე, ვარსებობ...

**"ვაზროვნებ, ესე იგი, ვარსებობ!"** – ბრძანა ადამიანის კრიტიკული გონისადმი ღრმა პატივისცემით გამსჭვალულმა დეკარტემ.

**"ვიტანჯები, მაშასადამე ვარსებობ, "ტანჯვა ჩემი ხელობაა"** – ეს უკვე პოლ ვალერის მორალისტური ინტერპრეტაციაა.

საინტერესოა, როგორ ჩამოაყალიბებენ თავიანთი არსებობის ფორმულას ჩვენებური პოლიტიკოსები?

ამ ცნობილი სენტენციის ქართული ვარიანტი იმთავითვე გამორიცხავს როგორც გონების, ასევე მორალის მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ყოფის რეალური სურათი დღეს სწორედ ამაზე მეტყველებს და მისი შელამაზება ნამდვილად უნაყოფო საქმე იქნება.

მაშ, რა ფაქტორები განაპირობებს ქართველ პოლიტიკოსთა არსებობის წესს და მათ შორის რომელს აქვს უპირატესი მნიშვნელობა?

**"მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი"?** – არამც და არამც!

ერთობ ზედაპირული და მეტისმეტად გადაპრანჭული გამონათქვამია.

**"მე ვარ რევოლუციონერი. ესე იგი ვარსებობ"?** – არც ეს თვალსაზრისი შეესაბამება რეალურ ადრესატთა ჭეშმარიტ ბუნებას, რადგან დღეს მათ ისე ეზიზღებათ ყოველგვარი რევოლუცია და ისე უფრთხიან რევოლუციურ აზრებს, რომ თავიანთი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად მზად არიან ნახევარი საქართველო საპყრობილეებში გამოამწყვდიონ (სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ მათ ეს საქმე არც ისე ურიგოდ გამოსდით).

**"ფული მაქვს, ესე იგი ვარსებობ"?** – თითქოს ეს მარტივი ფორმულა მიახლოებით მაინც უნდა გამოხატავდეს ბექაურ-დავითაშვილის პრაგმატულ-ფინანსურ ინტერესთა ტოპოლოგიურ შინაარსს, მაგრამ მას **"რაღაც"** მაინც აკლია. ბოლოს და ბოლოს, მსგავსი ინტერესები არც რიგით მოკვდავთათვის არის უცხო და მიუღებელი. ესაა მხოლოდ: პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, ამ მიზნის მისაღწევად უბრალო ადამიანებს არანაირი შანსი არ გააჩნიათ.

მოკლედ, ბევრი ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს, მოდით, თვალი ერთხელ კიდევ გადავავლოთ ჩვენი პოლიტიკოსების მრავალმხრივ **"მოღვაწეობას"**.

ახლა უკვე თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ ისინი სანახევროდ ქართველებიც არიან და სანახევროდ – ევროპელებიც (თუმცა, საკითხავია, რატომ მაინცდამაინც მხოლოდ ევროპელები?). მათში თანაბრად არის რაღაც ამერიკულიც, რუსულიც, ებრაულიც, სომხურიც და ა.შ. სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, ყველგან კარგად **"არსებობენ"**. ასე რომ, მათი ყოფიერების ერთი შტრიხი, ანუ ხაზი – გამოცნობილია!

ეს ადამიანები რევოლუციონერებიც არიან და ამაში ეჭვის შეტანა დღეს შეუწყნარებელი მკრეხელობა იქნებოდა. ხელისუფლების მოსაპოვებლად ისინი მუდამ მზად არიან რევოლუციებისა და გადატრიალებლების მოსაწყობად. უფრო მეტიც: თუ გაუჭირდათ, როგორც იტყვიან, ქვას ქვაზე არ დატოვებენ და ამ გზით გაიხანგრძლივებენ თავიანთ პოლიტიკურ **არსებობას**.

ესეც მეორე ნიშანი, რომლითაც კარგად მჟღავნდება ქართველ პოლიტიკოსთა ჭეშმარიტ მიდრეკილებათა ხასიათი.

რაც შეეხება მათ ფინანსურ ინტერესებს, ვფიქრობ, აქაც ყველაფერი გარკვეულია: **"თავისუფლების საფასური"** (ეს ქართველ პოლიტიკოსთა საყვარელი ფრაზა გახლავთ) თავისი პირადი გაჭირვებით, შიმშილითა და სიცივით, – მთლიანად ქართველმა ხალხმა უნდა გადაიხადოს. პოლიტიკოსებმა კი ამ **"საფასურით"** საარაკო შემოსავლები უნდა გაიჩინონ, სასახლეები აიშენონ და ჭეშმარიტად **"ევროპული სტანდარტების"** მიხედვით უნდა იცხოვრონ!

**დიახ, თავისუფლება ერთობ ძვირად ფასობს!**

ეს კარგად იციან ჩვენმა გამჭრიახმა პოლიტიკოსებმა და თავიანთი არსებობის ამ უმნიშვნელოვანეს წყაროს მუდამ ხარბად და გულმხურვალედ ეწაფებიან.

მაგრამ ყველა ზემოხსენებული სიკეთის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად მათ აუცილებლად ესაჭიროებათ ერთი განსაკუთრებული წრთობის იარაღი, რომლის გარეშეც ამ ადამიანების არსებობა, უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა.

წარმოიდგინეთ, ქართველი პოლიტიკოსები პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ყოველდღიურად არ ჩაგვძახოდეს, რომ თურმე რეფორმების მიხედვით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე იმყოფება;

რომ ისეთი სკოლები, საავადმყოფოები, შადრევნები და ატრაქციონები, როგორიც თბილისში შენდება, – არც ბერლინშია, არც პარიზში, არც ლონდონში და, რაღა თქმა უნდა, რუსეთში ხომ არ არის და არც არასოდეს იქნება!

რომ ქართველი ხალხი დღეს თურმე ისეთი ამაყი და ბედნიერია, როგორც არასდროს და ქართული სახელმწიფოც ასე ძლიერი დავით აღმაშენებლის დროსაც კი არ ყოფილა...

რომ ერთი და იმავე ადამიანის მინისტრად დანიშვნაც და მისი მოულოდნელი განთავისუფლებაც თურმე ერთნაირად მოსაწონ პოლიტიკას წარმოადგენს და, ბოლოს და ბოლოს, მთელ დედამიწაზე თავისუფლების ერთადერთი შუქურაც თურმე ჩვენ ვყოფილვართ...

დიახ, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ყველაფერი ეს სიცრუე არ არის!

ისიც წარმოიდგინეთ, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა!

და თქვენს გონებაში უმალ ამოტივტივდება ქართველი პოლიტიკოსის მთავარი საარსებო ფორმულა:

**"ვცრუობ, მაშასადამე, ვარსებობ"...**

* * *

დღენიადაგ მხოლოდ წვრილ მოხელეთა პატარ-პატარა სიცრუეები რომ გვესმოდეს, ამას კიდევ აიტანდა ადამიანი, მაგრამ მთელი ჩვენი უბედურება ის არის, რომ სიცრუეს ტახტი თვით უმაღლეს ხელისუფლებაში აქვს დადგმული.

აგერ უკვე, თითქმის ორი წელიწადია, რაც ჩვენს გულუბრყვილო წარმოსახვაში მტკიცედ აღიბეჭდა 2007 წლის 2007 წლის 1 იანვარი. ამ დღეს ხომ საახალწლო ზეიმი ცხინვალში უნდა გადაგვეხადა... არა და, ბ-ნ ირაკლი ოქრუაშვილისგან ასეთი პირობის დადება არავის მოუთხოვია; თავად გვაიმედებდა, მალე საქართველო გამთლიანდებაო! თავისი მრავალმნიშვნელოვანი დუმილით პრეზიდენტიც ხომ განუწყვეტლივ კვერს უკრავდა **"საყვარელ"** მინისტრს და ჩვენც ისღა დაგვრჩენოდა, ქამრები კიდევ უფრო მაგრად შემოგვეჭირა, რათა ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაგვესვა თავგასულ სეპარატისტთა თარეშისათვის.

მაგრამ დათქმულ დრომდე რაღაც თვენახევრით ადრე ბ-ნმა პრეზიდენტმა რატომღაც თავისი გუნდის მორიგი **"გადახალისება"** განიზრახა და ჩვენს ისედაც განსვენებულ ოცნებებს პირდაპირ ცივი წყალი გადაასხა. თავდაცვის ხაზი ახლა ეკონომიკაზე გადის და გმირთაგმირი ოქრუაშვილი ყველაზე მეტად სწორედ იქ მჭირდებაო.

**ამაზე მეტი შეურაცხყოფა ჩვენი ხალხისთვის თვით იმ სეპარატისტებსაც კი არ მიუყენებიათ, რომელთა ალაგმვას დღემდე ასე თვითდაჯერებით გვპირდებოდა ხელისუფლება.**

არა და, ქვეყანა ნამდვილად არ დაიქცეოდა, რომ პრეზიდენტს დინჯად, ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე, ხალხისათვის ბოლომდე ეთქვა სიმართლე, გულახდილად განეცხადებინა, რომ არსებული საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურა გვაიძულებს დროებით უარი ვთქვათ ჩვენს წმიდათაწმიდა გეგმებზე და ხელსაყრელ ჟამს უნდა დაველოდოთო...

ასეთ შემთხვევაში საზოგადოება უთუოდ გაიგებდა და უპრობლემოდ მიიღებდა ხელისუფლების გულწრფელ და კომპეტენტურ ახსნა-განმარტებას, იმედსაც შეინარჩუნებდა და უკეთესი მომავლის რწმენით განეწყობოდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვეულება მართლაც მუდამ რჯულზე უმტკიცესი ყოფილა და ამიტომ ხელისუფლებამ სიმართლეს ამჯერადაც სიცრუე ამჯობინა. უფრო მეტიც: ერთ სიცრუეს მეორეც ზედ მიაყოლა და ეკონომიკის მინისტრობიდან დეზერტირულად გაქცეული ოქრუაშვილისთვის **"პირის მოსაწმენდად"** უცხოეთში მისი გამგზავრების აუცილებლობაზე დაიწყო საუბარი. ლამის ათ თანამდებობაზე ნამსახურევ კაცს თურმე მაინცდამაინც ახლა გაახსენდა, რომ განათლება აკლია და ცოდნის შესავსებად საზღვარგარეთ გამგზავრება აღმოჩნდა საჭირო.

არადა, ცხინვალში დათქმულ შესვლამდე სულ რაღაც თვენახევარი იყო დარჩენილი...

დაგვცინიან, თორემ ასეთი უკბილო და უფეხო ტყუილის თქმას ნამდვილად არ უნდა კადრულობდნენ. კარგად დაფიქრდებოდნენ და ბოლოს და ბოლოს, თავდაცვის მინისტრის ავადმყოფობას მოიმიზეზებდნენ, აქაოდა, სპასალარი გვიკვდება, თორემ პირობის შესრულებას წინ არაფერი დაუდგებოდაო...

მოდგნენ და შიშველი სიცრუის ისეთი კორიანტელი დააყენეს, რომ კაცმა ვერ გაიგო – იცინოს თუ იტიროს... ტყუილის თქმაში უფროსებს ასაკით უმცროსმა ყოფილმა მინისტრმაც მიბაძა და გაზის კანტორიდან ისიც დეზერტირულად გაიქცა.

მე იქ ორიოდე დღით ვიყავი საქმის გასაცნობად მივლინებულიო,– გამოგვიცხადა ბატონმა ჩოგოვაძემ. უფრო სერიოზული სიცრუის მოსაფიქრებლად მას არც შეუწუხებია თავი.

ასეა: **მავნე სენი ელვის სისწრაფით ვრცელდება ჩვენ სახელისუფლებო წრეებში და, როგორც ჩანს, ამ პროცესს მომავალშიც წინ ვერაფერი დაუდგება.**

**"ვცრუობ, მაშასადამე ვარსებობ". "სიცრუე ჩემი ხელობაა".** – ასე დაკნინდა და გაცამტვერდა მორალი და გონიერება ქართულ პოლიტიკაში, ასე გაიშიფრა ჩვენში **"სიბრძნე სიცრუისა"**.

* * *

საქართველოს ისტორიის პირუთვნელი შემფასებელი ალექსანდრე ბატონიშვილი იხსენებს: **"ჩვენი უწინდელი მეფეები, არამც თუ დიდრონ კაცებთან, არამედ მდაბალ ხალხშიაც იყვნენ შერეულნი; ვითარცა მამა შვილებში წრფელის გულით, ჭეშმარიტებით, სიმართლითა და კეთილად არას დროს გლეხ კაცს არ დაეშლებოდა მეფესთან მისვლა და სიტყვის მოხსენება. იყო ურთიერთს შორის თავისუფლება და სიყვარული... ტყუილი სიტყვა ანუ გაკეთებული ცრუ ლაპარაკი უწინ როიგორ იქნებოდა? არამც თუ იქნებოდა, ამას ისინი ფიქრშიაც ვერ გაივლებდნენ. ამის გამო იმათი ლაპარაკი სულ სწორი და პირდაპირი იყო დაუფერებელი. იტყვიან: სახლეულობა უმახინჯოდ არ იქნებაო. როგორ არ იქნებოდა, რომ იმათშიც ცრუმოყბედე არავინ არ ყოფილიყო, მაგრამ იშვიათად და თუ შემჩნეული იქნებოდა ვინმე სიცრუეში, მართალს აღარ დაუჯერებდნენ იმას: ტყუილს რა სჭირს? – რა და მართალს აღარ დაუჯერებენ"...**

დღეს ჩვენ სიმართლის კი არა, აშკარა სიცრუის დაჯერებას გვაიძულებენ.

ცხადია, ეს მეტად მძიმე ასატანია, მაგრამ რა გაეწყობა. **"ვცრუობთ. მაშასადამე, ვარსებობთ".** – გვარწმუნებენ ჩვენი დროის მეფეები, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ სიცრუეში არავითარი სიბრძნე არ იმალება.

**თემურ ქორიძე**



## სააკაშვილი: „ჩვენ, უბრალოდ, ვცდილობთ, გადავრჩეთ"

***"რომ გადავრჩეთ, ჩვენ აუცილებლად გვჭირდება უსაფრთხოების მინიმალური გარანტია,"*** - განაცხადა სააკაშვილმა უკრაინული **„მეხუთე არხისთვის"** მიცემულ ინტერვიუში. მისივე თქმით, საქართველოს ნატოში გაწევრება მხოლოდ დროის საკითხია, რადგან ალიანსში ინტეგრაცია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია.

***„რომ გადავრჩეთ, ჩვენ აუცილებლად გვჭირდება უსაფრთხოების მინიმალური გარანტია. ეს ჩვენთვის სრულიად ნათელი საკითხია და ამაზე კამათს არავინ აპირებს. უფრო დიდი და უკეთესი ორგანიზაცია არ არსებობს. საკუთარი უსაფრთხოების მარტო უზრუნველყოფა კი არავის შეუძლია, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებს და ეს უკრაინასაც ეხება"***, - განაცხადა სააკაშვილმა.

***„ჩვენ, უბრალოდ, ვცდილობთ, გადავრჩეთ და განვვითარდეთ – სულ ეს არის. რა თქმა უნდა, პატარა საქართველო თავს ვერავის დაესხმება, განსაკუთრებით – დიდ მეზობლებს, ეს უგუნურების მწვერვალი იქნებოდა"***, - აღნიშნა ინტერვიუში სააკაშვილმა.

## გიორგი გუგავა: სააკაშვილი კავკასიის ჰიტლერად იქცა!

ბათუმში დაკავებულ ებრაელ ბიზნესმენებს ლეიბორისტული პარტია სოლიდარობას უცხადებს და აღნიშნული პირების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს. განცხადება, აღნიშნულთან დაკავშირებით, დღეს პარტიის ოფისში გიორგი გუგავამ გააკეთა. როგორც გუგავა განმარტავს, სააკაშვილმა ებრაელი ბიზნესმენების მიმართ ტერორი გააძლიერა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

**„მიხეილ სააკაშვილი კავკასიის ჰიტლერად იქცა, ჩვენი მოძმე ებრაელების მიმართ, მისი ანტისემიტური დამოკიდებულება ისეთივეა, როგორც ნაცისტურ გერმანიაში იყო. სწორედ სააკაშვილმა შეიწირა მეცენატი ბადრი პატარკაციშვილი და მის ქონებას უკანონოდ დაეპატრონა. ხოლო შემდგომ პროვოკაციულად ჩამოიტყუა ებრაელი ბიზნესმენები და აღნიშნული პირები სომალელი მეკობრეებივით დაატყვევა. ამიტომ ვგმობთ მსგავს მეკობრულ დამოკიდებულებას და მოვითხოვთ საქალაქო სასამართლოდან მათ უპირობო გათავისუფლებას,"** – განაცხადა გუგავამ.

შეგახსენებთ, რომ ბიზნესმენები – რონი ფუქი და ზევ ფრანკერი ქართველმა სამართალდამცავებმა 14 ოქტომბერს ბათუმში დააკავეს.

## საქართველოს უშიშროების ექსშეფის შვილი გაასამართლეს

კრასნოდარის ტელევიზიის გავრცელებული ცნობით, კრასნოდარის სამხარეო სასამართლოში საქართველოს ყოფილი უშიშროების მინისტრის ვახტანგ ქუთათელაძის შვილის, გივი ქუთათელაძისა და ალექსანდრე ვეფხვაძის პროცესი გაიმართა.

ქუთათელაძე და ვეფხვაძე რუსეთის სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთაში არიან ბრალდებულნი. ისინი 21 სექტემბერს, მაშინ დააკავეს, რაც მდინარე ფსოუში ფონი გადალახეს და ადლერის რაიონის სოფელ ნიჟნაია შილოვკაში ჩავიდნენ. რუსი მესაზღვრეების გამოჩენისთანავე, ქუთათელაძემ და ვეფხვაძემ გაქცევა სცადეს, თუმცა ისინი დააკავეს.

ბრალის დამტკიცების შემდეგ, მათ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ, პოლიციისთვის გაწეული წინააღმდეგობის გამო, დაუსწრებლად, ქუთათელაძეს – 13 წელი, ვეფხვაძეს კი 6 წელი მიუსაჯა. ისინი 2010 წლის აპრილიდან იძებნებიან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დაკავების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, მათი გადამოცემის მოთხოვნა არ გამოირიცხება.



## საქინფორმი უფლებამოსილია განაცხადოს

2011 წლის 5 იანვარს, საღამოს, თბილისსა და საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ელვის სისწრაფით გავრცელდა ინფორმაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, მცხეთა–თბილისის არქიეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტის – ილია მეორეს ჯანმრთელობის მკვეთრად გაუარესების თაობაზე. შეშფოთებული ხალხი ერთმანეთს ურეკავდა, უამრავმა ადამიანმა დარეკა ჩვენთანაც – საინფორმაციო–ანალიტიკურ სააგენტო **საქინფორმში.**

**ჩვენ გადავამოწმეთ ეს შემაშფოთებელი ინფორმაცია (შეგნებულად ვიკავებთ თავს სიტყვა „პროვოკაციის" ხსენებისგან, რათა შესაბამისი სტრუქტურები თავად გაერკვნენ და ამ ფაქტს შესატყვისი კვალიფიკაცია მისცენ) და ის, საბედნიეროდ, ცრუ აღმოჩნდა.**

იმ დროს, როცა კანონი ამგვარი ქმედებისთვის დასჯას ითვალისწინებს - იქნება ეს ცრუ ზარი პოლიციაში, შეტყობინება ვითომდა დადებულ ბომბზე, სამაშველო სამსახურის, სასწრაფო დახმარების, ანდა სამართალდამცავ სტრუქტურათა თანამშრომლების ყალბ გამოძახებაზე – ვვარაუდობთ, რომ ასეთი ქმედებები სცილდება ჩვეულებრივი ჭორის ფარგლებს და დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

ამჟამად საქართველოში არსებული ვითარების გათვალისწინებით, როცა მთელი ქართველი ხალხი – ეროვნების მიუხედავად – გულაცრუებულია თავის პოლიტიკოსებზე (მთელ პოლიტიკურ ელიტაზე – ხელისუფლებასა და ე. წ. ოპოზიციაზე) და სწამს მხოლოდ თავისი სულიერი წინამძღვრის – საქართველოს პატრიარქისა და ერის სულიერი მამის; როცა ჩვენ საქართველოში ფუნქციონირებადი საერთაშორისო დაქირავებული ძალების – არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ათასი ჯურის ინსტიტუტს ამოფარებული დივერსიულ–ძირგამომთხრელი ჯგუფების მხრიდან ტელევიზიებით ყოველდღიურად საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და პირადად პატრიარქზე ბინძური თავდასხმების მოწმენი ვხდებით; ჯგუფებისა, რომელთა საბოლოო მიზანი ისტორიის, მართლმადიდებლური მრწამსის, ენისა და ქართველი ხალხის ტრადიციების განადგურებაა, რათა ეს ხალხი საზარბაზნე ხორცად და უსახურ მსახურებად აქციოს გარკვეული დასავლური წრეებისათვის, დღითიდღე რომ კატასტროფულად კარგავენ თავის გავლენას მსოფლიოში, **საქინფორმი უფლებამოსილია განაცხადოს:**

– ცრუ ინფორმაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, მცხეთა–თბილისის არქიეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტის – ილია მეორის ჯანმრთელობის მკვეთრად გაუარესებაზე, რომელიც თითქოსდა მძიმე მდგომარეობაში მყოფი გადაიყვანეს საავადმყოფოში, მარტოდენ ბოროტი ხუმრობა არ ყოფილა და, ტელეკომპანია **„იმედის"** მიერ ფალსიფიცირებული დოკუმენტური ფილმის ჩვენების მსგავსად, საქართველოში ვითომდა რუსეთის ახალ შემოჭრაზე, შორს მიმავალ მიზნებს ისახავდა: საზოგადოებრივ აზრს მოვლენათა განვითარების ამგვარი სცენარისთვის ამზადებენ და მის რეაქციას სწავლობენ;

– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოვითხოვთ – სასწრაფოდ დაიწყოს გამოძიება, რათა დადგინდეს გავრცელებული ჭორის წყარო (პოლიციის დღევანდელი ტექნიკური აღჭურვილობის გათვალისწინებით, ეს ძნელი არ უნდა იყოს!), დაე, ინფორმაცია **„ოხუნჯებზე"** გამჭვირვალე გახდეს, საქართველოს საპატრულო პოლიციის ახალი შენობების მსგავსად, თუნდაც **„ძაფის წვერებმა"** ხელისუფლების დერეფნებში, ზემოთ ნახსენებ საერთაშორისო ინსტიტუტებამდე, ანდა ტელეფილმ **„რუსების შემოჭრა 2"**–ის ავტორებამდე მიგვიყვანოს;

– მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას: განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ აღმაშფოთებელ ფაქტს და გადამჭრელი ზომები მიიღოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, მცხეთა–თბილისის არქიეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტის, არქიეპისკოპოსის ილია მეორის პირად უსაფრთხოებას;

– ვაფრთხილებთ საქართველოში ჩასაფრებულ დემოკრატიისთვის ფსევდომებრძოლებსა და გლობალიზმის აგენტებს: თქვენი დრო წავიდა, საქართველოში თქვენს მიზნებს ვეღარ მიაღწევთ და, თუ პატრიარქის ჯანმრთელობა ნამდვილად გაუარესდება, მთელი პასუხისმგებლობა სრულად დაგეკისრებათ, მიუხედავად იმისა, საჯაროდ გამოდიოდით პატრიარქისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ, თუ მალულად მოქმედებდით.

**საინფორმაციო–ანალიტიკური სააგენტო საქინფორმი**

*თბილისი, 2011 წლის 6 იანვარი*

## ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების მიერ საქართველოს დატოვებიდან 19 წელი შესრულდა

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოს დატოვებიდან 19 წელი შესრულდა. ყოფილმა პრეზიდენტმა ოჯახის წევრებსა და მომხრეებთან ერთად ქვეყნის ტერიტორია 1992 წლის 6 იანვარს კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის შემდეგ დატოვა.

ე.წ.თბილისის ომი, რომელიც 15 დღე გრძელდებოდა, სწორედ 6 იანვარს დასრულდა. ზვიად გამსახურდიამ პარლამენტის შენობა გამთენიისას, დაახლოებით 03:30 საათზე დატოვა და აზერბაიჯანისკენ გაემართა.

გავრცელებული ინფორმაციით, მისი მომხრეები რამდენიმე მსუბუქ ავტომობილში, ორ ავტობუსსა და სამ ჯავშანმანქანაში ისხდნენ. მეტეხის ხიდთან ოპოზიციის შეიარაღებულ დაჯგუფებასა და ავტობუსებში მსხდომთ შორის სროლა ატყდა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა, რამდენიმე ადამიანი კი დაიჭრა. დამხობილმა პრეზიდენტმა თავშესაფარი აზერბაიჯანის ხელისუფლებას სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ამის ოფიციალურ მიზეზად მაშინდელი პრეზიდენტის აიაზ მუთალიბოვის პრეს-სამსახურმა ის მოიტანა, რომ გამსახურდიამ და მისმა თანმხლებმა პირებმა აზერბაიჯანის საზღვარი ქვეყნის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად გადაკვეთეს. ამის გამო გამსახურდია იძულებული გახდა, განჯიდან სომხეთისაკენ აეღო გეზი. სომხეთში მცირე ხნით ყოფნის შემდეგ მან თავი ჩეჩნეთს შეაფარა.

ამ მოვლენას მთელი რიგი პოკლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა დღეს უძღვნის ბრიფინგებს, პრეს-კონფერენციებს, კრებებს, მიტინგებს...

ერთ–ერთი ასეთი აქცია ჩატარდა რუსთაველის პროსპექტზე, სადაც შეიკრიბნენ საზოგადოება **„9 აპრილის"** წარმომადგენლები, რომლებმაც ამას წინათ ჩამოაყალიბეს მოძრაობა **„სამშობლო"**, რომლის დევიზია **„ილიას გზით!".**

იქვე მოეწყო იმპროვიზირებული ფოტოგამოფენა ღია ცის ქვეშ, რომელიც ასახავდა 1992 წლის ტრაგიკულ მოვლენებს.

**„ჩვენი მიზანია, მივაღწიოთ ჭეშმარიტ ეროვნულ შერიგებას, კანონიერების აღდგენას, კანონიერებისა და ადამიანის უფლებათა ზეობას. პრიორიტეტები, ანუ განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს**



**მოსახლეობისთვის ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების მოწესრიგება, აფხაზებთან და ოსებთან მეგობრული ურთიერთობების აღდგენა, კეთილმეზობლობის განმტკიცება ყველა ახლო და შორეულ ქვეყნებთან, განსაკუთრებით რუსეთთან,** - ამბობს ბიბილური, - **ამისთვის „სამშობლოს" დამფუძნებლებს მიაჩნიათ, რომ უნდა დაუბრუნდეთ იმ ეროვნული მოძრაობის საწყისებს, რომლებიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აღადგინა დიდმა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც შემდგომში საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად აღიარა და ეწოდა წმიდა ილია მართალი. ის საქმე, რომელსაც ქართველი ერის მამად წოდებული ილია შეეწირა, XX საუკუნის მიწურულს საკუთარ თავზე აიღეს მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ. მათ მიიყვანეს ქვეყანა ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, მაგრამ ისინიც შეეწირენ ამ კეთილშობილურ საქმეს".**

**„მაგრამ ეროვნული გმირების საქმენი და აზრები არ კვდება!.. ამიტომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავაღწიოთ თავი იმ უკანონობისა და ძალადობის მორევს, რომელიც ჩვენში მეფობს",** - აცხადებენ მოძრაობა **„სამშობლოს"** დამფუძნებლები.

## მსოფლიო დონის ქართველი მომღერალი ქეთი მელუა "ოპელის„ სახე გახდა

ქართველი მომღერალი და კომპოზიტორი **ქეთი მელუა** დღესდღეობით მსოფლიო შოუ-ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია. სულ ცოტა ხნის წინ ის მანქანათმშენებლობის გიგანტის – **„ოპელის"** სახე გახდა. ავტომწარმოებელთან თანამშრომლობა ქეთის 2011 წლის მსოფლიო ტურნეს ემთხვევა, რომლის ფარგლებშიც მომღერალმა ორმოცდაათ



ქალაქში უნდა ჩაატაროს კონცერტი. პარტნიორობის შესახებ ინფორმაცია ქეთი მელუამ და **„ოპელის"** წარმომადგენლებმა ლონდონში, მუსიკალურ სტუდია **„აირ სტუდიოდან"** ონლაინ-ტრანსლაციის მეშვეობით გაავრცელეს:

**„მოხარულები ვართ, რომ ასეთ ნიჭიერ და კაშკაშა ვარსკვლავთან გვიწევს მუშაობა. სასიამოვნოა, რომ მომავალში სწორედ ის წარმოადგენს ჩვენს ბრენდს და გაუწევს კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას მთელ მსოფლიოში",** – თქვა ალან ვისერმა, რომელიც **„ოპელის"** ვიცე-პრეზიდენტია მარკეტინგისა და გაყიდვების მიმართულებით. **„ჩვენი ბრენდის მთავარი ღირებულებებია, ერთი მხრივ ინოვაცია, დინამიკურობა და ემოციური დიზაინი, მეორე მხრივ კი – სათუთი დამოკიდებულება გარემოსადმი, მისი მოფრთხილება და სოციალური პასუხისმგებლობები. იმედი გვაქვს, ქეთი თავისი ორიგინალური მანერით მსმენელამდე ამის მიტანას შეძლებს".**

სალომე გველესიანი

## ზუგდიდის №4 სასჯელაღსრულების დაწესებულება დასახურია

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ზუგდიდის №4 დაწესებულება, ანუ საპყრობილე სავალალო მდგომარეობაშია. არსებული მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების გამო დაკავებული პირის იქ მოთავსება ყოვლად შეუძლებელია, აუტანელ ვითარებას, ელემენტარული პირობების უქონლობას ემატება სასჯელაღსრულების



დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობა და საპყრობილის გადატვირთულობა.

## ლარის კურსმა დოლართან მიმართებაში დაცემა დაიწყო

ახალი წლიდან ეროვნულმა ვალუტამ დოლართან მიმართებაში დაცემა დაიწყო. რადიო კომერსანტის ინფორმაციით, ეროვნული ბანკის მონაცემებით, დღეს ერთი დოლარი 1, 8 ნიშნულზეა. ბანკებსა და გაცვლით ჯიხურებში კურსი გაცილებით დიდია. **EBRD**-ის ბანკირის - ირაკლი კოვზანაძის განმარტებით, ახალი წლის შემდეგ ლარზე მოთხოვნა ტრადიციულად მცირდება. შესაბამისად ეს ხელს უწყობს კურსის დაცემას. მისი თქმით, 2010 წლის ბოლოს ლარის გამყარება ორი ფაქტორით იყო გამოწვეული. ესენია ეროვნული ბანკის მიერ ინფლაციის შესაჩერებლად ამოქმედებული ბერკეტები და საახალწლოდ ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდა. ექსპერტის განცხადებითვე, ეროვნულმა ბანკმა, ფინანსთა სამინისტრომ და საერთოდ მთავრობამ ერთობლივად უნდა იმუშაონ, რომ მზარდი ინფლაცია შეჩერდეს. ეკონომიკის კიდევ ერთი ექსპერტი ნოდარ ხადური კი აცხადებს, რომ ლარის კურსის დაცემა ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელს კიდევ უფრო გაზრდის, რადგან გაძვირდება იმპორტირებული პროდუქცია. ხადურის თქმით, ეროვნულ ბანკს აქვს ბერკეტები ინფლაციაზე ზემოქმედებისთვის, თუმცა ეს ბერკეტები საკმარისი არ არის.

ინფორმაციისთვის: გასული წლის ბოლოს საქართველოში 11,2%–იანი ინფლაცია დაფიქსირდა, რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში მაქსიმალურია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩელა

*მოძიებული და ჩაწერილია ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებლის ალექსანდრე ცაგარელის მოსწავლისა და საქმის გამგრძელებლის, დიდი ქართველი მეცნიერის იოსებ ყიფშიძის მიერ.*

აშო, ჩელა, სი ჩერჩელა,
სი მონობას გეგაფილი,
სი უჩონჩხე, სი სერგელა,
სი კისერი ელაფირი!
აშო, ჩელა, ბორო ჩელა!
ოჭკუმალო შხვას დუს არზე;
ეცალ რინას დიდო უჯგუ,
შურით ქიანასი ვარდე.
აშო, ჩელა, ბათომიშა,
დუდ გეგიძუ სასწორიშა;
დიო ჯგირო დორხენდუნა,
ბოლოს დუცი მერქექუნა.
გოვუსვათი, ჩქიმი ჩელა,
ზუგიდიშე დარჩელიშა;
გოქარილი ვორეთ, მარა
ვე მმაშქვანა ტკვარჩელიშა.
აშო, ჩელა, ვიშო, ჯაგა!
ჩქინი ნახაჩქა რე ყვანა,
მარა გვერდის მიდამღანა,
ჩქინ ნაშრომუს ვა მუჩანა.
აშო, ჩელა, ვიშო, ლომა!
ჩქი ბლასუნა მეტი შრომა;
ირო ქომუბშენთი, მარა
ვორეთ ჟირიხოლო ჭკოლა.
აშო, ჩელა, ვიშო, ბუსქა!

ნება ვა რე, ნიმი კუსა;
ოში დიხას ჭყოლირი კოჩქ,
ჭკუას მუ წამალი ვუსვა?
შარას გილაბცანცალანთი
ალონიშე შქასერიშა;
ჩელა, თეში დობღურუთი,
ვე ითმართენა სარჯელიშა.
ჭკოოლათ პუნსუ ჩქიმი ბუსქა,
ყუდეს ვა რე ჭა დო ფურჩა;
ირფელი შხვაქ მიდამიღუ,
დო ჩქიმ ბუსქას ანწი მუ ბჩა?
ჰოი, ჩქიმ ჯაგა, ჩქიმი ჩელა!
დუდი მაფუ ონგარალი:
მათი დუცუ მონობხენა
ნგერ დო ტურა ოჭყვადალი.
ჯაგა, ლომა ბირკილეფი
სიღარიბეშ ჭოფილეფი!
დღას ვა გებხარებუთუ
შხვაში მონა-მორჩილეფი.
ჭურია დო ნაბადა რე
ჩქინი კლასი, გიმნაზია;
ჩელა, ლეტას ქაშენჯირი,
ინკორა დო იკვაზია.
ჩქიმი ჩელა, მუ გიწუა?
ვა გგეგებუ ჩქიმი ჭკუა,
დუსუ მიღუდანი ჭკუა,
ნტერსუ ხვადუ დიდი ქუა.
ბოში ვორექ ჯგირი, მარა
ჯიბეს ვა რე ჭყელი ფარა;
რადგანს ღარიბ ვორექი ნი,

ყოროფილსი ვა მუჩანა.
დღაშ დო სერით ქომუბშენქი,
ჩხურ მაწუხენს, მისი ჩხანა,
მარა ჯგირი ვა მკმოქუნსუ,
შქირენული მაფუ ქვარა.
ო, ჩქიმ ჩელა, ჩქიმი ჯაგა!
მდიდარი რე გომორძგვილი;
ღარიბ ვორექ, მდიდარს მეყუნს
ჩქიმი სქვამი ყოროფილი.
ჯაგა, ლომა, მირჩქილითი,
მუს გიწოლენთ, ქიჩინითი;
ართო მიბრაგადუათი,
მუს ქიბჩინენთ, ვათუათ.
ჯაგა, ლომა, ბუსქა, ჩელა!
თოლსი სინთე ვა ნობღვენა;
მუ ჭირდუნი, ვა ნობჩქვენა.
ასე ქობძირითი თენა.
ჩქი ვორეთი დამნაშავე,
ჩქინი დუსუ იბღუპუნთუ,
ჩქინი სახეს ვა ვორწყეთ,
მაალ-წყარსი მეუღუთუ.
ჩქუ უხაჩქუნთ ქობალსია
არძა მუქთა-ხორასია;
ჩქი ურჩანთ ფარჩემსია
უსაქვარე კახმემსია.
ჩქი უკეთენთ დოხორემს
ნგერეფი დო ჯოღორემს;
ჩქი ვოყოთანთ ტყვიასია
მუშას, ჩქინი ჯიმასია.
ჩქი ჩქინ დუსუ ბღალატენთ,

გერ დო ტყურას ვამარგენთ.
ჩელა! ანწი მობაღვნა
ტვერ დო ლეტაში აშახუნა,
მათრახეფიშ მოთვინება,
ჩხურ დო შქირენიშა ღურა.
ერთობა რე, ჩქიმი ჩელა,
უძლეველი დიდი ნძალი;
ის ვარჯგინანს ნტერიშ ტყვია,
ლეკური დო ზარბაზანი.
მარა დიო თე ერთობა
ვა მიღუნა უბედურემს;
ოჭკუმალო აწივძითუ
ნგერეფი დო მელა-ტურემს.
ჯაგა, ლომა, ბუსქა, ჩელა!
ანწი გიჩქიდანი თენა:
შხვადო ვა რე ჩქინი შველა,
ჩქი ჩქინ ნძალა დამირსხენა.
ჩელა! მა გირეჩენქი თესი,
ქიმწუვძახათ ჩქინი ნტყერს:
გოუმორძგვას ერთობას,
გვერშაპიში ეკორთას!
ნუმ მიღუნა შხვაშ იმენდი,
ჩქინ ხესი რე ჩქინი ბედი;
ვარა ღურა-დასაჯება,
ვარა სრული გამარჯვება.
ჩელა, მობსალათი ნტერი:
ლომი, თუნთი, ტურა, ნგერი,
არძა ჩქინი მაჭკუმალი,
არძა ღორონთიში ჭყელი.
დიბრთინუათ, ჩქიმი ჩელა,
თე სამოთხე მშვენიერი,
ბოროტება დოვპილათი
დო იპიით ბედნიერი.

ნორჩი "ილორელების" ტრიბუნა

# "ოქროს პერგამენტის" ნომინანტები

***ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ზუგდიდში ჩატარდა "ოქროს პერგამენტის" კონკურსი, რომელმაც დიდი მნიშვნელობა შეიძინა. კონკურსის მიზანი გახლდათ ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და პოპულარიზაცია.***

***მკითხველებს ვთავაზობთ კონკურსის მონაწილე გიორგი გოგუას ნაწარმოებს:***

## თავზეხელაღებული მამაძაღლები

მაშინ, როდესაც ჯაზის და ბლუზის ჰანგები ერთმანეთს ენაცვლება, ოთახში ფორთოხლიანი ჩაის სურნელი ტრიალებს, გარეთ მოღრუბლულია, რადგან მარტი ისევ ტვინს ბურღავს, მე კი დრუიდობისა არაფერი გამეგება, რომ ამინდი გამოვიყვანო, ისღა დამრჩენია, ჩემი ალტერნატიული მზე გამოვნახო, ან საერთოდ შევქმნა ის, ყოველ შემთხვევაში, ვცადო მაინც...

მით უმეტეს, თუ ბობ დილანის ჩახლეჩილ ხმას ჰარისონი აყოლებს გიტარას და ამ დროს ერთ ყლუპ ჩაისაც შეუშვებ სულში, მაშინვე გიპყრობს სურვილი, მთელი დაგროვილი ფერები ქაღალდზე გადმოღვარო, სანამ საბოლოოდ არ დაიცლები, რათა შემდეგ თბილი საღებავების ახალი ნაკადი შეუშვა გონებაში.

მოხეტიალე **უილბურები** დროის დასასრულისაკენ მიქრიან და ადამიანს უნებლიედ იმის შეგრძნება გიჩნდება, რომ შენც მათი ნაწილი ხარ, კიდევ ერთი **უილბური**, ცხოვრებაზე შეყვარებული და მშვიდობის მაძიებელი.

ერთი ადამიანი სამყაროს ვერ შეცვლისო, – სრული სიცრუეა! მან პირველად მაშინ შეცვალა იგი, როცა დაიბადა და, სხვა რომ არაფერი ქნას, ოდესმე ხომ მაინც მეორედ შეცვლის მას, როცა ხელმეორედ დაიბადება?

მე ცხოვრება მაშინ შემიყვარდა, როცა სრულებით სასოწარკვეთილი და ემოციებისაგან დაცლილი, ღამის 12 საათზე ვცეკვავდი რკინიგზის სადგურის ბაქანზე მას შემდეგ, რაც 11-საათიან რეისზე დავაგვიანე...

არასდროსაა გვიან სიცოცხლის დაწყება, მთავარია, მოინდომო. ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ რატომღაც ბევრს ეს ძალიან ხშირად ავიწყდება.

ჩვენ ვართ მსოფლიო!

ჩვენ ვართ სამყარო!

ჩვენ ბავშვობიდან მოვდივართ და ბავშვობაშივე ვაგრძელებთ ცხოვრებას!

ჩვენ დასაკარგავი არაფერი გვაქვს, რადგან არც არაფერი გაგვაჩნია, საკუთარი თავის გარდა!

ჩვენ ახალი სამყაროს უმცროსი შვილები ვართ, რომელთაც ცვლილებების ქარი, უსაზღვრო ფანტაზია, დიდი ამბიციები, შავი 1991 და კიდევ უფრო შავი 2012 ამოძრავებთ!

ჩვენ არ ვცნობთ საზღვრებს, თუმცა ვერც ვცდებით მათ, რადგან ჩვენი საზღვარი ჩვენ თვითონ ვართ!

ჩვენით იწყება და მთავრდება სამყარო!

19 წლის წინ, როცა რკინის ფარადს ერთიმეორის მიყოლებით სცვიოდა სამაგრები, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ იქ, ფარდის მიღმა, მოხეტიალე მუსიკოსები მშვიდობას ქადაგებდნენ და რომ 19 წლის შემდეგ ჩვენ, ჩაბნელებული აღმოსავლეთის ცოცხალი შვილები, შევქმნიდით მომავალს; როგორც **უილბურები**, ლურჯ-ყვითელ ავტობუსში ჩავსხდებოდით და გიგანტური რუპორით ჩავუბეჭდავდით ხალხს გონებაში იმედს!

იმედი, როგორც ფორთოხლიანი ჩაის მათრობელა არომატიც. ზოგისთვის მაღაზიაში 10 თეთრად ნაყიდი სიგარეტის ღერის ერთი ღრმა ნაფაზი.

ზოგისთვის ძველსიმებიან გიტარაზე აღებული ერთი აკორდი.

ზოგისთვის გახუნებულყდიან წიგნში ამოკითხული ერთი ფრაზა.

ზოგისთვის ცაზე მარტოხელა ვარსკვლავის პირველი ამოსუნთქვა.

ზოგისთვის ქუჩაში გამვლელი გოგოს ეშმაკური ღიმილი.

ზოგისთვის მიწისქვეშა გადასასვლელში მოსმენილი **"Akross The Universe"**.

ზოგისთვის ერთი სიტყვა.

ზოგისთვის მთელი ცხოვრების არსი, არის ის, რაც ჩვენ გვამოძრავებს, რაც უკან მოხედვის უფლებას არ გვაძლევს, რაც გვიბიძგებს, ვიყოთ ის, რაც ვართ და აღმოვაჩინოთ ის, რასაც ვერც კი წარმოვიდგენდით, თუ შეგვეძლო, და არ უარვყოთ თვით ცნება **"შეუძლებელი"**!

და ისევ, ჩვენ ვართ სამყარო, მოხეტიალე **უილბურებს** აყოლილი თავზეხელაღებული მამაძაღლები, და ოდესმე, ალბათ ტარანტინო, ჩვენც გვიწოდებს **"უსახელო ნაბიჭვრებს"**, რომლებმაც ისწავლეს ცხოვრება და სხვებსაც ასწავლეს.

თაობა, რომელმაც განავითარა ცნება **"სიახლე"**, დაამატა მას ბევრი იმედი, ბევრი ენთუაზიამი, ცოტა გაბრაზება, ცოტაც ცრემლი (აუცილებლად სიხარულის), სიყვარულის დიდი დოზა და კოცნა გემოვნებით.

თაობა, რომელმაც იპოვა გზა სიცოცხლიდან სიცოცხლემდე სიცოცხლის გავლით!

თაობა, რომელმაც უბრალო საპნის ბუშტში მოათავსა მთელი მსოფლიო და მიანიჭა მას სულის სიმსუბუქე!

თაობა, რომელმაც დაამსხვრია ბოქლომები და გზა დაუთმო მათ, ვინც ჭეშმარიტად ღირსეული იყო!

თაობა, რომელმაც იგრძნო, რომ **"ძალიან კარგია, თუ ცხოვრობ და ეს გსიამოვნებს!**

**ძალიან კარგია, თუ აკეთებ ყველაფერს, რაც შეგიძლია!..**

**არა უშავს, თუ ვინმე არ გეთანხმება!**

**არა უშავს, თუ ვინმე არ დაგეთანხმება!**

**არა უშავს, რადგან ხანდახან საჭიროა იყო ძლიერი!"**

არა უშავს, რომ ფეხსაცმელი დაგესვარა, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, შენ ფეხსაცმელი მაინც გაქვს!

არა უშავს, რომ ცა მოღრუბლულია და ნაცრისფერი, რადგან შენ გაქვს უნარი, გახსნა მთელი პალიტრა და შენი ფანტაზიით მოხატო სამყარო!

შენ ხომ ჭეშმარიტი **უილბური** ხარ, ლურჯ-ყვითელი ავტობუსით და გიგანტური რუპორით! შენს შუქნიშანზე სამივე ფერი მწვანეა და ბილეთის კონტროლიორები იმისთვის ამოდიან, რომ ფერადი **"ჩუპა-ჩუპსები"** დაგირიგონ! შენ ხომ არ გიწევს ამ ავტობუსში ვინმეს ადგილი დაუთმო, რადგან აქ ადგილი ყველასთვისაა!

ასე რომ, კომფორტულად მოეწყვეთ, მგზავრებო, თქვენი ლურჯ-ყვითელი ავტობუსი აგრძელებს სვლას წინ, სიცოცხლისაკენ!

**გიორგი გოგუა**

**შენიშვნა – "უილბური"** არის 1988 წელს ჯორჯ ჰარისონის, ბობ დილანის, როი ორბინსონის, ტომ პეტისა და ჯეფ ლეინის მიერ ჩამოყალიბებული მუსიკალური ჯგუფი "The Traveling Wilburus", რომელმაც 1990 წლამდე იარსება.

## საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

**თურქეთში ქართული ტაძრების, ხოლო საქართველოში მეჩეთების რესტავრაციასთან დაკავშირებით როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, კვლავ მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოებს შორის ამჟერად საქართველოში უკვე ოთხი მეჩეთის და ერთი აბანოს, ხოლო თურქეთში ოთხი ქართული ტაძრის აღდგენის შესახებ.**

**საქართველოს კანონმდებლობის (კონსტიტუციური შეთანხმების) თანახმად, ეკლესია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც მესაკუთრეა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია- მონასტრებისა, ხოლო სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, აწარმოოს მოლაპარაკება უცხოეთში არსებული ქართული ტაძრების საკუთრებისა და მოვლა-პატრონობის შესახებ. ამდენად, თურქეთის მხარისათვის წარდგენილი ტაძრების სია და მოლაპარაკების პირობები, ბუნებრივია, შეთანხმებული უნდა ყოფილიყო მის მესაკუთრესთან- საქართველოს საპატრიარქოსთან, რაც არც ადრე და არც ახლა არ განხორციელებულა. ეს ჩვენთვის სრულიად გაუგებარია.**

**თავიდანვე შევნიშნავთ, რომ ისეთი მნიშვნელობის ძეგლები, როგორიცაა ოშკი, ხანძთა, ოთხთა, იშხანი ... იუნესკოს ეგიდითაც შეიძლებოდა აღდგენილიყო და ამისათვის შესაბამისი ნაბიჯები აქამდეც შეიძლებოდა გადადგმულიყო. მოლაპარაკებები კი თურქულ მხარესთან სხვა ტაძრების რესტავრაციასთან დაკავშირებით უნდა გვეწარმოებინა.**

**რატომ არ იქნა ეს გზა გამოყენებული, არ ვიცით. ხოლო თუ დღეს არსებული სიტუაციის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენთვის საპრობლემო საკითხებიდან ამჟერად მხოლოდ ორ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას:**

**ა) ადრეც აღვნიშნავდით, და ახლაც ვიმეორებთ, რომ თურქეთი მიგვაჩნია ჩვენი ქვეყნის პარტნიორ სახელმწიფოდ, რომელთანაც კეთილმეზობლური ურთიერთობები გვაკავშირებს, ამიტომაც, ბუნებრივია, ისმება კითხვა: მაშინ, როდესაც საქართველოში ახლადგახსნილი უამრავი მეჩეთი და ჯამე ფუნქციონირებს, ამათ სანაცვლოდ ჩვენს მეგობარ ქვეყანაში რატომ არ შეიძლება გაიხსნას თუნდაც 2-3 ქართული მონასტერი (მათ ამოქმედებას ხომ მრევლი არ სჭირდება) და რატომ გვთავაზობს თურქული მხარე ამის განხორციელებას მხოლოდ ნაცვალგების საფუძველზე, თანაც 5/4 შეფარდებით?**

**ბ) შევნიშნავთ იმასაც, რომ, როგორც თურქული მხარისათვის არის მნიშვნელოვანი გარკვეული მეჩეთების პრიორიტეტად წარმოჩენა, ასევე ჩვენთვის არის უმნიშვნელოვანესი, მაგალითად, ლაზებით დასახლებულ ზღვისპირა ზოლში დანგრევის პირას მყოფი არდაშენის ტაძრის აღდგენა; ასევე ხახულის ტაძრიდან მეჩეთის გადატანა და მნახველთათვის მისი გახსნა;**

**ასე რომ, საქართველოს საპატრიარქო უპირველესად მიიჩნევს ქალაქ არდაშენისა და ხახულის ტაძრების აღდგენას; სხვა სარესტავრაციო ეკლესიების შერჩევა კი შეიძლება სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა გადაწყვიტონ საპატრიარქოსთან შეთანხმებით.**

**და ბოლოს, უნდა თავიდანვე განისაზღვროს ისიც, თუ ვის საკუთრებაში იქნება საქართველოში აღდგენილი მეჩეთები, თურქეთში კი - ტაძრები. ვიმედოვნებთ, ჩვენს მიერ წამოყენებული წინადადებები მისაღები იქნება ყველა მხარისთვის, რაც ჩვენს შორის ურთიერთობას კონსტრუქციულს გახდის. საპატრიარქოსთან შეთანხმებით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქინფორმის განცხადება

როგორც საინფორმაციო–ანალიტიკური სააგენტო საქინფორმისთვის სანდო წყაროსგან გახდა ცნობილი, პოლიტიკური პარტიის **„მოძრაობა – ერთიანი საქართველოსთვის“** ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ *(სადაც 2010 წლის 21 დეკემბერს პაკლონნაია გორაზე ძეგლის* ***„ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ ერთად ვიდექით“*** *გახსნას ესწრებოდა)*, ვიწრო წრეს რუსეთში გამართული შეხვედრების შინაარსი გაანდო. კერძოდ, როგორც წყარო იტყობინება, **ერთმა, რუსეთში საყოველთაოდ პატივცემულმა, უმაღლესი რანგის მოღვაწემ ბურჯანაძესთან შეხვედრისას თითქოს განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის ჯარის შეყვანის გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა, ხოლო რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე ვ. პუტინი ამ გადაწყვეტილების მიღებაში არ მონაწილეობდა, უფრო მეტიც – ამის წინააღმდეგი იყო** (საინფორმაციო–ანალიტიკური სააგენტო საქინფორმისთვის ცნობილია, რომელ მოღვაწეზეა საუბარი, თუმცა, ინფორმაციის უტყუარობის გადამოწმების გარეშე და ასევე ეთიკური მოსაზრებებით, მისი ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებთ).

ძნელი წარმოსადგენია, რომ რფ–ის პრეზიდენტმა, რომელსაც, როგორც ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალსა და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელს, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება თანამდებობრივად რომ ევალება, ეს რფ–ის მთავრობის თავმჯდომარესთან მოთათბირების გარეშე ან მისი ნების წინააღმდეგ ემოქმედა (მათ შორის არსებული ნებისმიერი პირადი ურთიერთობების მიუხედავად).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იბადება კითხვა: რასთან გვაქვს საქმე? **ეს ქართველი საზოგადოებისთვის გაგზავნილი მესიჯია თუ ქალბატონ ბურჯანაძეს, უბრალოდ, „წამოსცდა“?** მოდი, ორივე ვარიანტი განვიხილოთ.

ვარიანტი №1. პრემიერმა პუტინმა, ბურჯანაძის მეშვეობით, აცნობა ქართველ საზოგადოებას: ***„ მე მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი და, როცა კვლავაც რუსეთის პრეზიდენტი ვიქნები, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებით. რა თქმა უნდა, თუკი საქართველოში იმ დროისთვის იქნება პრეზიდენტი, რომელთან ლაპარაკსა და საკითხების გადაწყვეტას შევძლებ“***. მიაქციეთ ყურადღება – ის, რომ **„ინფორმაციის გაჟონვა“** სწორედ **„ამპარტავანი“** ბურჯანაძის მეშვეობით მოხდა, დამატებით დატვირთვას ატარებს: ***„დიახ, ჩვენ მზად ვართ, ველაპარაკოთ ყველას, სააკაშვილის გარდა – მის ყოფილ თანამებრძოლსაც კი „ვარდების რევოლუციაში“, აშკარა „ნატოელსა“ და საქართველოს პარლამენტის ექს–სპიკერ ბურჯანაძეს, რომელმაც 2006 წელს თავისი ცინიკური და შეურაცხმყოფელი გამოსვლით კინაღამ ჩაგვიშხამა სახელმწიფო დუმის 100 წლის იუბილე, ახლა კი ამბიციები დაივიწყა და თავად გვეახლა!“***

№1 ვარიანტის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პუტინი მესიჯს პირველად არ გვიგზავნის. გაიხსენეთ 2009 წელი, პრიმაკოვის 80 წლის იუბილე და პუტინის მოულოდნელი **„სპიჩი“**: ***„საქართველოს გაერთიანების საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია. არ არსებობს ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ჩვენ არ შეგვეძლოს. დაე, იგი*** (პრიმაკოვი) ***დაკავდეს ამ საკითხით“,*** რის შემდეგაც აჟღერდა **„თბილისო“ „თვალზე ცრემლმომდგარი“** ნანი ბრეგვაძის შესრულებით, რომელმაც ეს გამაოგნებელი ცნობა საქართველოში ჩამოიტანა.

**ნანი ბრეგვაძე, ნინო ბურჯანაძე ... – მნიშვნელობა არ აქვს, ვის მოაქვს პირდაპირი ანდა ირიბი გზავნილები ყოვლისშემძლე პრემიერისგან – მომღერალსა თუ პოლიტიკოსს. მათ პოზიციებს არაერთხელ განუცდია (და უეჭველად კვლავაც განიცდის!) ტრანსფორმაცია, მედვედევისა და პუტინის უცვლელი პოზიციისგან განსხვავებით, რომლებიც 2008 წლის აგვისტომდე საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ცნობდნენ, ხოლო შემდეგ არაერთხელ განაცხადეს, რომ ძალიან ებრალებათ საქართველო და ქართველი ხალხი და რომ ყველაფერი, ადრე თუ გვიან, თავის კალაპოტს დაუბრუნდება!**

ვარიანტი № 2. **ინფორმაციის წინასწარგანზრახული გაჟონვა გამორიცხულია და არავის დაუვალებია ბურჯანაძისთვის „ფოსტალიონობა“ – მაღალი ნდობით გულაჩუყებულ, „თვალზე ცრემლმომდგარ“ ნინოს, ეს, უბრალოდ, წამოსცდა...** მიზანი რა იყო? – ***„მომეცით საშუალება, საქართველოს პრეზიდენტი გავხდე და მე დაგიბრუნებთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რუსეთის ხელისუფლებას საქმის დაჭერა მხოლოდ ჩემთან სურს!“*** – თითქოს ამით ამხნევებს იგი დაქსაქსულსა და დაღონებულ თანამოაზრეებს და მათთან ერთად – მთელ საქართველოს (იმის გათვალისწინებით, რომ თბილისი პატარა ქალაქია, სადაც ჭორაობა უყვარს ყველას – ქალებსაც და კაცებსაც, განსაკუთრებით კი – პოლიტიკოსებს).

№2 ვარიანტი ნაკლებად დამაჯერებელია რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი, შეიძლება ბურჯანაძეზე მრავალგვარი აზრი გქონდეს, მაგრამ **სიტყვაუხვობას ვერ უსაყვედურებ,** უფრო მეტიც: **„ოპოზიციის ლიდერი“** – გაჩეჩილაძე (**,,გრეჩიხა''**) სკანდალურად მხოლოდ მას შემდეგ გამოააშკარავა, სანამ ამ უკანასკნელმა თავის მეგობრებთან ერთად **„ქართული პარტიიდან“** მისი მისამართით შეურაცხმყოფელი გამოხდომებით არ აიძულა ამის გაკეთება. და ისიც, ბურჯანაძემ გამანადგურებელი კომპრომატის გამოქვეყნება ქართულ ყოველკვირეულ გაზეთ **„ასავალ–დასავალში“** მხოლოდ კონკურენტების მრავალჯერადი ტელეგაფრთხილების შემდეგ გადაწყვიტა: ***„თავი დამანებეთ! ნუ მაიძულებთ, „პირი გავაღო“ და ვთქვა ის, რაც თქვენ შესახებ ვიცი! და დამერწმუნეთ, არცთუ ისე ცოტა ვიცი...“*** **(თუმცა, როგორც პატიოსანი მოქალაქე და თავისი ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული პოლიტიკოსი, ბურჯანაძე არ უნდა დალოდებოდა გრეჩიხას „თავდასხმას“, პირიქით – ჯერ კიდევ 2008 წელს უნდა გამოეაშკარავებინა იგი!).**

2011 წლის 19 იანვარს კი, 22:00 საათზე, ტელეარხ **„მაესტროზე“**, ეკა ბერიძის თოქ–შოუში **„გულახდილი საუბრები“** ნინო ანზორის ასულმა სიმაყით განაცხადა, რომ ***„ამ წლების განმავლობაში ხელისუფლების ერთგული იყო (!), მაგრამ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მისი მრავალი განზრახვა დაბლოკა(?!), რის ყველაზე მკაფიო მტკიცებულებას წარმოადგენს ფაქტი, რომ იგი ხელისუფლებაში იყო 2008 წლის 8 ივნისამდე და მხოლოდ მისი წასვლიდან სულ რაღაც 2 თვის შემდეგ (აგვისტოში) ხელისუფლებამ ომი გააჩაღა.***

**ჰოდა, როგორი „სიტყვამუნწი“ უნდა იყო, რომ 5 წელიწად–ნახევრის განმავლობაში (2003 წლის ნოემბრიდან – 2008 წლის ივნისამდე) ხელისუფლების ყველა განზრახვის შესახებ იცოდე, გესმოდეს მათი დამღუპველობა სახელმწიფოსთვის, მაგრამ საჯაროდ არც ერთხელ კრინტი არ დაძრა?!**

დასასრულ: 2008 წლის 13 თებერვალს, **РИА НОВОСТИ**-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბურჯანაძემ, რომელიც იმხანად საქართველოს პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე იყო, განაცხადა: ***„არც ისე დიდი ხნის წინათ, როცა მოსკოვის ქუჩაში მივდიოდი, შეგრძნება მქონდა, რომ მტრულად განწყობილ სახელმწიფოში ვიმყოფებოდი!“*** . დღეს, როგორც ხედავთ, დრო შეიცვალა – ნინო მოსკოვში თავს გაცილებით უკეთესად გრძნობს და, როგორც ჩანს, იქ ხშირ სტუმრობას აპირებს. ამიტომ იგი, სავარაუდოდ, ასეთ მცდარ ნაბიჯს ნებაყოფლობით არ გადადგამდა – თავის უახლოეს გარემოცვაშიც არაფერი წამოცდებოდა და ამით თავის მოსკოველ მაღალი რანგის მოსაუბრეს, რომელმაც კონფიდენციალური ინფორმაცია გაანდო, დარტყმის ქვეშ არ მოაქცევდა.

**საინფორმაციო–ანალიტიკური სააგენტო საქინფორმი**

# დევნილების დაწიოკების პროცესი საერთაშორისო დონეზე განახლდა?!

დღეს, დილიდან, თბილისში მდებარე რამდენიმე კომპაქტურად ჩასახლების ადგილიდან დევნილების გამოსახლების პროცესი დაიწყო (წინასწარი ინფორმაციით, სულ 1400–მდე დევნილის გასახლება იგეგმება). დევნილებს ბაგებში მდებარე სტუდქალაქისა და ორხევის დასახლებაში მდებარე საბაჟო დეპარტამენტის ყოფილი შენობებიდან ყრიან.

შენობებთან ასობით პოლიციელია მობილიზებული, რომლებიც, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, დევნილებს ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებენ.

ამის გამო დაკავებულია რამდენიმე პირი, მათ შორის ქალებიც, რომლებიც პოლიციის ერთ–ერთ განყოფილებაში გადაიყვანეს.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განცხადებით, გამოსახლებულ დევნილებს სამინისტრო ალტერნატიულ ფართებს რეგიონებში, კერძოდ კი კახეთსა და სამეგრელოში სთავაზობს.

საქინფორმმა სუზელიანის უწყებაში დაკავშირება მხოლოდ სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის წარმომადგენელთან – იულია ხარაშვილთან შეძლო, რომელმაც განმარტა, რომ ლტოლვილთა განსახლების პროცესი გაეროსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებით ხორციელდება:

**„ეს ის შენობებია, რომლებიც დევნილებს არალეგალურად აქვთ დაკავებული. ჩვენთვის გასაგებია მათი პროტესტი, რომ რეგიონებში განსახლება არ სურთ, თუმცა დედაქალაქში ამჟამად ადგილები ფიზიკურად არ გვაქვს. რაც შეეხება რეგიონებში ადაპტაციასა და დასაქმებას, გვესმის, რომ ეს მტკივნეული საკითხია, თუმცა ამ პრობლემის მოსაგვარებლად ყველანაირად ვცდილობთ, მოვიძიოთ სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური პროექტები. გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციები ამ პრობლემის შესახებაც არიან საქმის კურსში“,** – განაცხადა ხარაშვილმა, მაგრამ კონკრეტულად რა პროექტებზეა საუბარი და როდიდან დაიწყება მათი განხორციელება, ვერ დააკონკრეტა.

რაც შეეხება იმას, რატომ არ ესწრებიან გამოსახლების პროცესს სამინისტროს წარმომადგენლები, ხარაშვილის განცხადებით, პროცესს სამინისტრო არ აწარმოებს და ის მხოლოდ შემდგომ მონიტორინგს განახორციელებს, თუმცა რამდენად შედეგიანი იქნება დედაქალაქში ნათესავებთან და ახლობლებთან მიმოფანტულ დევნილებზე მონიტორინგის ჩატარება, საკითხავია.

ამასთან, ხარაშვილის მტკიცებით, დევნილებს გამოსახლების შესახებ საინფორმაცია ფურცლები ჯერ კიდევ დეკემბერში დაურიგდათ, თუმცა დევნილთა უმეტესობა ამტკიცებს, რომ ამის შესახებ მათ მხოლოდ გუშინ აცნობეს. **„ისიც კი არ ვიცით, სად უნდა წავიდეთ“,** – ამ ფრაზას გაიგონებთ ყველა მათგანისგან, ვინც ჯერ კიდევ რჩება კომპაქტურად ჩასახლების ადგილების მიმდებარე ტერიტორიებზე.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვერც იმას აკონკრეტებს, რამდენ დევნილს მოუწევს **„იძულებით გადაადგილება“** და როდის დასრულდება ეს პროცესი.

შეგახსენებთ, რომ დევნილთა გამოსახლების პროცესი თბილისსა და რეგიონებში ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისში დაიწყო, რასაც დევნილების სერიოზული პროტესტი მოჰყვა. გასული წლის შემოდგომაზე რამდენიმე დევნილმა სამინისტროს შენობის წინ პირი ამოიკერა და შიმშილობდა, აფხაზეთიდან დევნილმა ნანა ფიფიამ კი უწყების წინ თავი დაიწვა და გარდაიცვალა.




# ,,ძალიან გვწყინს, რომ სეპარატისტებს გვეძახიან”

გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში მცხოვრებნი და იქ არსებული ორგანიზაციები, რომლებიც ქართული სახელმწიფოსგან ფინანსდება, მეტ ყურადღებას მოითხოვენ საქართველოს ხელისუფლებისგან. **,,ვინც აქ, აფხაზეთში, ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, საგმირო საქმეს ვაკეთებთ. ჩვენი საქმიანობა შეფასებული არ არის. იმის მაგივრად, რომ მადლობა გვითხრან, სეპარატისტებს გვეძახიან, რაც ჩვენ ძალიან გვწყინს. რატომ ვართ ჩვენ სეპარატისტები?“** – კითხულობს გალის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე, სოფელ ნაბაკევის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, აფხაზი ქალბატონი ნონა თარბაია, რომელიც პარტიზანული გზებით მოვიდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში არასამთავრობო ორგანიზაციის **,,ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების''** მიერ ორგანიზებულ სემინარში მონაწილეობის **მისაღებად. ,,მინდა ჩემი გულისტკივილი გამოვთქვა იმის გამო, რომ მე, აფხაზეთიდან თბილისში ჩამოსულ ექიმს, პრობლემები მექმნება თანამდებობის პირებთან შეხვედრაში. არც ერთხელ არ დაინტერესებულან ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელები, თუ რას ვაკეთებთ, რა გვიჭირს. თუ გვაფინანსებენ, ხომ უნდა იცოდნენ, ვის გვაფინანსებს?“** – განუცხადა ნონა თარბაიამ ამ სემინარზე მყოფ რეინტეგრაციის სამინისტროს წარმომადგენელს ზვიად ზვიადაძეს.

## „ილორის“ დებიუტანტი



ზაალ ჯალაღონია

# მუშ მამონკა ყოფე შური

ვაგმაგინ მი ვორექ,
მიძახუნა თოისერც.
კოჩიშ ნინა თიჯგუარე,
ირო თქუანც მოძინელც.
ენკერიას გევორექ
ბჟას ვუჯინექ გოძიცელც.
ათე ლერსებს ქიმვოშურდი,
მითა მიყუნცუ მათირე.
მუშ მამონკა ყოფე შური,
ენა სოლე მანთირე.
ხვალე ართი ფირქი მიღუ,
უფაფუა მუნაფას.
ირო მივერიდებუქ
კოჩიში გურიში წყუნაფას.
მეჩირთიო ჩქიმი წკმა,
ახავაი, დოიღური.
დღასი ვადგემონებუქუ,
ოდო ნძალა ქომიღუნი.
სიკეთე დო უბადობა
ირო გიშამგორუაფუ.
ათე ჩქიმი ფირქებიშა
ნინა ვამიწორუაფუ.
კოც გლახა ქალაძუდა,
ინა სოთინ ვანტირე.
შურო ქიპატიებედა,
ირო ქუგაპატიე.
თიშენ ნამდგა არძა კოჩი,
ღორონთიში ხატირე!
ათე ლერსებს ქიმვოშურდი,
მითა მიყუნც მათირე.
მუშ მამონკა ყოფე შური,
ენა სოლე მანთირე.
ართიანს უწუათუ,
ღურა დღაშა ვაღურა.
ყოროფილო გილაბრთათ
ოდო დომიძახუნა.
თიშო ხოლო იბჭუათ,
ინა არძას მოხუნა.
მივოტუათ უსაქმურო
გერინა დო დოხუნა.
მიდგარენც ვაგაგინე,
ამდღა ხოლო იკვირაფუ.
კოც მუჭო ვანგარინე,
ნგარას შური იძირაფუ.
ბირა იყინი ვიბირათ
მემღუნანო მუთუნი.
ართიანც ვეშურიათ
სანთელი დო თუთუმი.
მარაგადეს ურჩქილათ.
ჯგირი თქუდა შიმნახათ,
მითინ ვარე უჩილათ,
ცოდა არძას მინარქაფუ.
მუთუნი ქოარსებენსო,
თენა ხოლო ვებჩიათ.
ღორონთი ვაგვამორსათუ დო
შური გადიბჩიჩიათ.
ღურა დუდიშა ქიმნიბდვით,
თი უშქურიშ რიჩონით.
კიბირს უჭკირჭკინუანთ დო
მეურთ კიჭონ-კიჭონით.
სი სინდიდრეს მეთხოზუქუ,
შურო ვარშუ დუნაბარ.
ჯოჯოხეთიშა მეზონჯუქუ
ქარ-ბორიაშ დუნანბარ.
ჭკუათ ვარე გინაფილი,
განჩინება ვეგებდვით.
თეთ მურდუნ ძირაფილი
თინა ხოლო ვაგებგით.
ღორონთქ კოჩო ქუმორთუ დო,
ოჩხოულეს ქიდებად.
ღურუს ღურათ ორჯგინუ დო
იცოცხლია გირაგად!



## ახალი წელი ჩალით დახურულ ქალაქში

საახალწლო ზეიმით ქუთაისში ხელისუფლებაც გაწბილებული დარჩა. მაგრამ, ხალხისგან განსხვავებით, მათი გაწბილების მიზეზი უამინდობა იყო. ისევე როგორც ბათუმში წყალში ტყაპუნი მოუხდათ ხელისუფალთა საამებელი კონცერტის მონაწილეებს. ამ სიტუაციამ ხუმრობის ხასიათზე დააყენა ისედაც იუმორზე შეყვარებული ქუთათურები და გაჩნდა მოწოდებაც: **''არ ინერვიულოთ, ხალხო, ძველით ახალ წელს ცელოფნის სეფა არ გვექნება, გაითვალისწინეს, კაი ბრეზენტი ჩადეს ბიუჯეტში და მთლიანად გადახურავენ, ისედაც ჩალით დახურულ ამ ქალაქსო''.**

ისე კი ამბობენ, ისეთ ხუმრობას რა ვუთხრა, ნახევარი სიმართლე თუ არ ურევიაო; მაგრამ ხუმრობა მაინც ხუმრობაა და მაინც და მაინც ნუ გეწყინებათ, ხალხზე ზრუნვაზე გადაგებულნო ხელისუფალნო, იმერლების კიდევ ერთი **''ფრთიანი გამონათქვამი'': ''ბათუმში ბოჩელი მღერის და ქუთაისში ბოჩოლებიო...''**

მეორეც, იმიტომ ნუ გეწყინებათ, რომ თვითონ ორგანიზატორებმა აიგდეს თავი სასაცილოდ, მთელი ქალაქი დასცინოდა სცენას. მართალია, ჩვენმა ხელისუფლებამ შესანიშნავად აუღო ალღო ფასადების გალამაზებას და ამით ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრას, მაგრამ ამ **''თვალისმომჭრელი''** სილამაზით მხოლოდ უცხოთა მოტყუება თუ შეიძლება, თორემ რას გამოაპარებ იმ ძირძველ ქალაქელებს, რომლებმაც ზეპირად იციან, რიონის პირას რომელი კენჭი სად გდია.

ამიტომ არ **''უფასებენ''** ამაგს ხელისუფალთ - იმ ქუჩებზეც დადიან, სადაც ასფალტი არ აგია, იმ ლამაზფასადიანი სახლების დანგრეულ სადარბაზოებშიც იხედებიან... ერთი სიტყვით, სადაც არ ეკითხებათ, ცხვირს ყოფენ. ამ საახალწლოდ კი ქალაქის განათებას მოუძებნეს წუნი - მხოლოდ გზის ცალ მხარეს არის და ისიც ძლივს ანათებს ქუჩას: ზოგი ნათურა არც ანთია ან, თუ ანთია, ბჟუტავსო. **''ქუთაისის ხელისუფლებაში ვინც არიან, თვალში ვერ იხედებიან? თუ განათებული მერიის და მოედნის გარდა არსად დადიან? თუ მათი მანქანების მინები ისევ დაბურულია და ვერ ამჩნევენ? ცოტა უნდა მივაწვეთ და უნდა ვიყვიროთ, რომ რამე გააკეთონ...''** - ეს ფრაზა ინფოქუთაისის ფორუმიდან ამოვიწერე. იმედია, ამ ხელისუფლებას ამ ახალ წელს ქუთაისთან ერთად მთელი საქართველო ''მიაწვება'' და ბოლოს და ბოლოს თავიდან მოიშორებს.

## მოსკოვში გარდაიცვალა შოთა კვირაია

10 იანვარს, მოსკოვში გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების ყოფილი მინისტრი შოთა კვირაია.

შოთა კვირაია დაიბადა 1952 წელს ქ. სენაკში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტი და თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი.

1977 წელს დაიწყო მუშაობა შინაგან საქმეთა ორგანოებში. 1977-1984 წლებში სოხუმის შინაგან საქმეთა რაიონულ



განყოფილებაში იყო სოციალისტური საკუთრების დატაცებსთან ბრძოლის ინსპექტორი, შემდეგ კი უფროსი ინსპექტორი.

1984-1990 წლებში ამავე განხრით დაწინაურდა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცების განყოფილების ოპერწმულებულად მუშაობდა.

მაღალი თანამდებობები დაიკავა ძალოვან სტრუქტურებში ედუარდ შევარდანაძის მმართველობის დროს. 1993 წელს (იგორ გიორგაძის მინისტრობისას) ის უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილეა, შემდეგ კი მეთაურობს ქვეყნის ძალოვან სამინისტროებს.

როდესაც 1995 წლის 2 სექტემბერს გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან იგორ გიორგაძე, მის ადგილზე ედუარდ შევარდნაძემ დანიშნა შოთა კვირაია.

1997 წელს მისი კარიერა საქართველოში შეწყდა და ის ემიგრაციაში გადასახლდა რუსეთში, სადაც მოსკოვში ცხოვრობდა.

ამჟამად შოთა კვირაის ოჯახმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის დაკრძალონ სამშობლოში. მის ცხედარს უახლოეს დროში გადმოასვენებენ თბილისში.

## ვლადიმერ სანაკოევის აღიარება

სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოევის ყოფილმა



თანამებრძოლმა, მოძრაობა **„კოკოითი ფანდარასტის“** ლიდერმა ვლადიმერ სანაკოევმა რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა აღიარა. ამის თაობაზე სანაკოევმა ვლადიკავკაზში, ადვოკატ ჯაბილ გაბარჩიევის ოფისში განაცხადა. აღსარება ათამდე ადამიანის თანდასწრებით 3 საათს გაგრძელდა.

**„ჩემი საქმიანობა საქართველოში“** – ასე ერქვა **„ნაშრომს“**, რომლის წაკითხვითაც დაიწყო სანაკოევის აღიარებითი ჩვენება. თავად მანიფესტი ჯაშუშური საქმიანობის დასაწყისის აღწერით დაიწყო.

**“1989 წელს სერგეი დირდინი გავიცანი. იგი სოჭის უშიშროების სამსახურში მუშაობდა. მან თანამშრომლობა შემომთავაზა. თუკი შევამჩნევდი რაიმე ფაქტს, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებას დაემუქრებოდა, მისთვის უნდა მეცნობებინა. შევთანხმდით, რომ ჩემი ფსევდონიმი „ირონი“ (ოსეთი) იქნებოდა. მოგვიანებით გავიცანი უშიშროების სხვა თანამშრომლებიც. 1998 წელს გავიცანი რომანი (მოდი, ასე ვუწოდებ მას), რომელთანაც დავმეგობრდი. ხშირად ვსაუბრობდით ოსეთზე, რადგან ოსი ვარ და იქ უამრავი ნათესავი მყავს“,** – კითხულობდა სანაკოევი.

აღიარების თანახმად, 2004 წლის 10 ივლისს სანაკოევმა ვანო მერაბიშვილი და მისი მოადგილე ამირან მესხელი გაიცნო.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ცხინვალში დაბრუნდა და რომანს ამ შეხვედრის დეტალები და საუბრის ანალიზი გააცნო. **„დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლება – მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ამირან მესხი, ირაკლი ოქრუაშვილი, გივი თარგამაძე, გიორგი ბარამიძე და სხვა მაღალჩინოსნები რუსეთის და მისი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტების წამქეზებლები და თანამონაწილეები არიან. მზად ვარ, ამის დასამტკიცებლად, საჯაროდ მივცე ჩვენება“,** – წერს სანაკოევი.

## მანდატურებს – რა?!



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მანდატურის ინსტიტუტის დანერგვასთან დაკავშირებით შემაჯამებელი ბრიფინგი გამართა. ჩატარებული კვლევებისა და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სკოლის მანდატურის ინსტიტუტის დანერგვის შემდეგ სკოლებში გაუმჯობესდა სასწავლო გარემო და შემცირდა ძალადობის ფაქტები.

შაშკინის თქმით, 2010 წელს საჯარო სკოლებში მანდატურის ინპლემენტაცია წარმატებით განხორციელდა, სკოლის მანდატურები აქტიურად ჩაერთნენ სასკოლო ცხოვრებაში და დაუმეგობრდნენ მოსწავლეებს, თუმცა სხვა რამეს ამბობენ თავად მანდატურები. მაგალითად, ერთ-ერთის (სახელსა და გვარს არ ასახელებს) თქმით, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის №53 საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეები სასწავლო წლის დასასრულს, საკლასო ოთახში ჩაიკეტნენ, მასწავლებელს არ უშვებდნენ შიგნით, ჟრიამულობდნენ და თან ერთხმად გაჰყვიროდნენ: **,,მანდატურებს რა?!''** (დასრულებას, ალბათ, თავადაც შეძლებთ). აბა, დაუსჯელად ვინ დატოვებდა ამ ბავშვებს, ჰოდა, სულ რაღაც ერთ საათში ყველა დამნაშავე მეთორმეტეკლასელი № 53 სკოლის საპირფარეშოს ხეხავდა და თან ერთხმად იმეორებდნენ: **,,მანდატურებს გაუმარჯოს!''**.

**გია კაშია,** № 53 სკოლის დირექტორი:

– სკოლაში ასეთი ფაქტი იყო, თუმცა არანაირი კონფლიქტი ამას არ მოჰყოლია, მანდატურებმა თავიანთი მოვალეობა შეასრულეს.

## სადილი სოციალურად დაუცველი 2000 თბილისელისთვის

**"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"** (ყოფილი **"თბილისის წყალი"**) ნათლისღების დღესასწაულზე სოციალურად დაუცველ 2000 თბილისელს ცხელი სადილით უმასპინძლდება.

საქველმოქმედო აქციას **"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"** ასოციაცია **"კათარზისთან"** ერთად მართავს.



აქციის ორგანიზატორები დღეს 11:00-დან 17:00 საათამდე ნებისმიერ მსურველს ასოციაციაში ცხელ სადილზე ეპატიჟებიან.

**"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის"** გენერალური დირექტორი იორგ მათისი სოციალურად დაუცველთათვის დღესასწაულის მისალოცად **"კათარზისს"** ესტუმრა და შეხვდა შეკრებილთ.

სააგენტო საქინფორმი

## უკომენტაროდ

ცოტნე გამსახურდია, პატიმარი: “საქართველოს პარლამენტში ჩატარებული პრესკონფერენციის შემდეგ კ. გამსახურდიამ უბრალოდ ივაჭრა ხელისუფლებასთან, ისპეკულანტა ჩვენი გასაჭირით და დუმილის სანაცვლოდ ხელისუფლებას წლების განმავლობაში ნანატრ დაფინანსებას გამორჩა, რომელიც მისმა სამკაციანმა პარტიამ იმ პერიოდში მიიღო და მალევე თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. ალბათ, ზედმეტია თქმა, რომ ქალაჩუნა კიკუს მას შემდეგ აღარც საკუთარ ძმაზე ამოუღია ხმა და აღარც პატიმრების წამებაზე. სხვათაშორის, მეორე, უმცროს ძმას, გიორგის, საერთოდ არ გავხსენებივარ.

მაგრამ რა უნდა გამიკვირდეს “ძმისგან”, რომელიც ჯერ კიდევ 2007 წელს შეფარულ დაკითხვებსა და პროვოკაციებს მიწყობდა კონტრდაზვერვის დავალებით”.

“კვირის პალიტრა”



# მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

## ლადისლავ კუბალა

დაიბადა 1927 წლის 10 თებერვალს, უნგრეთში.

თამაშობდა კლუბებში **"ფერენცვაროში"** უნგრეთი, **"ბრატისლავა"** ჩეხოსლოვაკია, **"ვაშაში"** უნგრეთი, **"ბარსელონა"**, **"ესპანიოლა"** ესპანეთი, **"ციურიხი"** შვეიცარია, **"ტორონტო ფოლკონზი"**, კანადა.

უნგრული ფეხბურთის ერთ-ერთი დიდი პარადოქსი გახლდათ ის, რომ მეოცე საუკუნის 50-იან წლებში, ძლიერების ზენიტში ყოფნისას მის შემადგენლობაში არ თამაშობდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრფორვარდი ლადისლავ კუბალა. იგი ზოგჯერ თავდასხმის მარჯვენა შუა ხაზზეც თამაშობდა. იგი საზღვარგარეთ წავიდა მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში, როცა უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში თამაშობდა. ჩავიდა რა იტალიაში, ლადისლავ კუბალამ შექმნა ემიგრანტებისაგან დაკომპლექტებული გუნდი **"პრო პატრია"**, რომელიც ძირითადად საჩვენებელ მატჩებს აწყობდა. კუბალა პირველად **"ბარსელონამ"** შეამჩნია, სადაც მან თავისი საუკეთესო წლები გაატარა – გახდა ესპანეთის ხუთგზის ჩემპიონი და ბაზრობათა თასის ორგზის მფლობელი. კუბალა ერთადერთი გამონაკლისი ფეხბურთელია, რომელმაც თავისი კარიერის განმავლობაში სამი სხვადასხვა ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებ გუნდებში ითამაშა. 19-ჯერ დაიცვა ესპანეთის ღირსება, 7-ჯერ ჩეხოსლოვაკიის, სამჯერ კი უნგრეთის ნაკრებში ითამაშა.

კუბალამ ესპანეთის **"ბარსელონა"** 1961 წელს დასტოვა, მას შემდეგ, რაც ამ გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი დათმო პორტუგალიის **"ბენფიკასთან"**. შემდეგ იგი საკუთარ გუნდს მთავარი მწვრთნელის ამპლუაში დაუბრუნდა და ამავდროულად ესპანეთის საფეხბურთო ნაკრებსაც წვრთნიდა, თუმცა იგი დიდად წარმატებული მწვრთნელი ვერ გახდა.

## ანჰელ ამადეო ლაბრუნა

დაიბადა 1918 წლის 28 სექტემბერს, არგენტინაში.

თამაშობდა კლუბებში **"რივერ პლეიტი, "პლატენესი"** არგენტინა, **"გრინ გროსი"** ჩილე, **"რამპლა ხუნიორსი"** ურუგვაი.

ანჰელ ლაბრუნა დღესაც რჩება არა მხოლოდ არგენტინიის ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელად ამ ქვეყნის სპორტის ისტორიაში. იგი მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე შუა ხაზის თავდამსხმელი გახლდათ და **"სპორტული დღეგრძელობის"** მსოფლიო რეკორდიც აქვს დამყარებული – 29 წლის განმავლობაში იცავდა **"რივერ პლეიტის"** ღირსებას! მას მეტსახელად სამხრეთ ამერიკის სტენლი მეტიუზს უწოდებდნენ, რადგან სპორტული კარიერა დაასრულა 41 წლის ასაკში. 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ხანდაზმული ლაბრუნა შვეციაში აღარ წაიყვანეს, მაგრამ როცა არგენტინის ნაკრებმა წაიფორთხილა (მოედნიდან მსაჯის შეგინებისათვის გაუგდეს გუნდის კაპიტანი რატინი, რომელსაც მომდევნო ორი მატჩი უნდა გამოეტოვებინა), ანჰელ ლაბრუნა სპეციალური თვითმფრინავით ჩამოიყვანეს შვეციაში, მაგრამ ჩემპიონატის საბოლოო შედეგზე ლაბრუნას მაღალოსტატურმა თამაშმაც ვერ მოახდინა გავლენა და ჩემპიონები ბრაზილიელები გახდნენ. მაგრამ ის ფაქტი, რომ დიდი გასაჭირის ჟამს არგენტინის ფეხბურთის მესვეურებს სწორედ ლაბრუნა გაახსენდათ, უკვე მეტყველებს ამ ფეხბურთელის დიდ ავტორიტეტზე. სულ არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში ლაბრუნამ ჩაატარა 36 მატჩი და 17 გოლი გაიტანა. მან **"რივერ პლეიტის"** მაისური 12 წლის ასაკში მოირგო და ცხრაჯერ გახდა არგენტინის ჩემპიონი ამ გუნდის შემადგენლობაში. იგი შედიოდა არგენტინის იმ თავდასხმის სამეულში, რომელსაც **"ტექნიკური მანქანა"** ეწოდებოდა, რაც მეტყველებს მის მაღალ კლასზე.

## ბრაიან ლაუდრუპი

დაიბადა 1969 წლის 22 თებერვალს, დანიაში.

თამაშობდა კლუბებში **"ბრონდბიუ"**, **"ბაიერი"**, **"იურდინგენი"**, **"ბავარია მიუნჰენი"**, გერმანია, **"ფიორენტინა"**, **"მილანი"** იტალია, **"რეინჯერსი"** შოტლანდია, **"ჩელსი"** ინგლისი, **"კოპენჰაგენი"** დანია, **"აიაქსი"** ჰოლანდია.

ბრაიან ლაუდრუპი დიდი დანიელი ფეხბურთელის მიხაელ ლაუდრუპის უმცროსი ძმა გახლდათ, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა ოჯახური საფებურთო ტრადიციები. **"ბრონდბიუს"** ძირითად შემადგენლობაში ჩარიცხვის პირველივე სეზონში იგი დანიის ჩემპიონი გახდა, 1989 წელს კი იგი დანიის საფეხბურთო თასსაც დაეუფლა. მისმა ვარსკვლავმა პირველად ევროპის 1992 წლის ჩემპიონატზე გაიბრწყინა, როცა თავისი უფროსი ძმა შეცვალა, რომელსაც უსიამოვნებები ჰქონდა ნაკრების მთავარ მწვრთნელ რიჩარდ მელერ-ნილსონთან. დანიის ნაკრების დიდი წარმატების შემდეგ ბრაიანით ევროპის წამყვანი გუნდები დაინტერესდნენ. იგი ჯერ გერმანიაში თამაშობდა, შემდეგ კი იტალიელებმა შეიძინეს, ამის შემდეგ კი სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა შოტლანდიის **"რეინჯერსის"** შემადგენლობაში, სადაც ბრაიან ლაუდრუპმა მთლიანად გამოავლინა თავისი გამორჩეული სპორტული შესაძლებლობები. იგი გახდა შოტლანდიის ფეხბურთის ისტორიაში პირველი ლეგიონერი, რომელმაც დანიის წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტული მოიპოვა. საკუთარ სამშობლოში დანიაში კი ბრაიან ლაუდრუპი სამჯერ აღიარეს წლის საუკეთესო სპორტსმენად, რაც ჯერჯერობით მიუღწეველ რეკორდად ითვლება ამ ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში.

**გიორგი ჯალაღანია**

# იუმორი

* * *

– რა განსხვავებაა ოპტიმისტსა და პესიმისტს შორის?
– პესიმისტი ფიქრობს, რომ ტრაგიკულად ხდება ყველაფერიო. ოპტიმისტი კი ფიქრობს, ამაზე ცუდი აწი აღარაფერი მოხდებაო.

* * *

– შორეულ მოგზაურობაში ვის იახლებდი? – ეკითხებიან გამგზავრების წინ მოგზაურს.
– ძალიან მახინჯ ქალს, რომ არ დავიღუპო.
– ეს როგორ?
– ის მახინჯი ქალი რომ ძალიან ლამაზად მომეჩვენება, მივხვდები, რომ უკან დაბრუნების დროა.

* * *

მოსამართლე:
– მოიხადეთ თქვენი სამუდამო პატიმრობა და მერე გადავხედავთ თქვენს საქმეს...
იქნებ მართალი ხარ, შე კაცო!

* * *

– რატომ ეჩხუბე იმ კლიენტს? – ეკითხება რესტორნის დირექტორი მიმტანს, – ხომ იცი, კლიენტი ყოველთვის მართალია?
– თქვენზე მითხრა, რქიანიაო და თავი ვერ შევიკავე!

* * *

– მიხო, შენი ბიჭი სად არის? – ეკითხებიან კახელს.
– ბიბლიოთეკაში აგდია!
– წიგნები უყვარს?
– არა, ბიბლიოთეკარი უყვარს!

* * *

ცოლი ადრე იღვიძებს, სარკეში კარგა ხანს იყურება, მერე მძინარე ქმარს გადახედავს და ნიშნის მოგებით ამბობს:
– უკეთესის ღირსი არც ხარ!

## დევნილების გამოსახლება საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებით ხდება

*საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაჟინებული მტკიცებით, სააღსრულებლო ბიუროს ყოფილი შენობიდან დევნილთა განსახლება საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებული პროცედურების სრული დაცვით მიმდინარეობს.*

*"ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტალში მდებარე სააღსრულებლო ბიუროს ყოფილი შენობა, სადაც დევნილები 2008 წლის მოვლენების შემდეგ ცხოვრობდნენ, არ წარმოადგენს კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტს. ის აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა დროებითი თავშესაფარი იყო. დევნილთა განსახლების პროცესი მიმდინარეობს იმ პროცედურების დაცვით, რაც წინასწარ შეთანხმებულია საერთაშორისო ორგანიზაციებთან", - ნათქვამია იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განცხადებაში ,და აქვე ისიც აღნიშნულია, რომ სამინისტრო დევნილებს რეგიონებში საკუთრებაში გარემონტებულ ბინებს სთავაზობს.*

*"ბინის გარეშე არავინ დარჩება," - განმარტავენ განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, თუმცა რეალურად გამოსახლებული ადამიანებიდან ბინა ჯერჯერობით მხოლოდ ორ ოჯახს შესთავაზეს წინწყაროში.*

*შეგახსენებთ, რომ სააღსრულებლო ბიუროს შენობიდან გამოსახლება 2011 წლის 19 იანვრის დილით დაიწყო.*

## სააკაშვილის პოლიტიკური შანტაჟი

*ქართველმა მესაზღვრეებმა დაღესტნელ ცოლ-ქმარ ხაზბულატოვებს "ზემო ლარსის" გამშვები პუნქტის საშუალებით საქართველოს ტერიტორიაზე შესვლის უფლება არ მისცეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ, რუსეთის საზღვარგარეთული პასპორტის გარდა, შენგენის ვიზებიც ჰქონდათ.*

*ალი ხაზბულატოვის განმარტებით, მას საბუთები წესრიგში ჰქონდა, უბრალოდ, მან მესაზღვრეებისთვის საქართველოს იმ მოქალაქეების ტელეფონების ნომრების მითითება ვერ შეძლო, ვისთანაც სტუმრად ჩასვლას გეგმავდა. ალი ხაზბულატოვის თქმით, მას 20 წელი არ ჰყავდა ნანახი მისი ქართველი მეგობარი და მონახულება სურდა.*

*ეს ფაქტი ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ხლოპონინმა სააკაშვილის პოლიტიკურ შანტაჟად და კავკასიაში საერთო დესტაბილიზაციის კონცეფციის ნაწილად შეაფასა.*

*"რია ნოვოსტის" რუსმა მესაზღვრეებმა დაადასტურეს, რომ ხაზბულატოვების ოჯახი 14 იანვარს მართლაც ცდილობდა საქართველოს ტერიტორიაზე "ზემო ლარსის" გამშვები პუნქტის საშუალებით შესვლას.*

*ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის სასაზღვრო სამსახურის პრესსამსახურის ხელმძღვანელის – ალექსანდრ სოლოდის ინფორმაციით, "ზემო ლარსის" გამშვებ პუნქტზე ჩრდილოეთ კავკასიელი მოქალაქეების საქართველოში არშეშვების 5-ზე მეტი შემთხვევა უკვე დაფიქსირდა.*

*2010 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის მიხედვითაც რუსეთის მოქალაქეებს "ზემო ლარსის" გამშვები პუნქტის საშუალებით საქართველოს ტერიტორიაზე უვიზოდ შესვლის უფლება მიეცათ.*

სააგენტო საქინფორმი

ISSN 1987-8966 ილორი

9771987896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27